გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N24 (9275) 31 აგვისტო. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

3

არა მარტო გაცნობითი, სამუშაო შეხვედრაც

29 აგვისტოს წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო

2

საქართველოში რომ აღარ მოთ

50-თეთრიანი მოწყალება

7

"ზვიადს მოუთხოვია, უღალატო, სანდო ბიჭები შემოვიდნენო"

5

მთავარი ბარე მოვაჭრეების უკმაყოფილება არ არის

მუსიკის ენით სიყვარულის ძაფებს რომ აბამს...

6

3

პური არ უნდა გაძვირდეს, პოლიტიკური შოუებით ვერ დავნაყრდებით

"შვილის ჭარბი სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ"

9

8 სექტემბერი ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეა!

29 აგვისტოს წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო

სამტრედიის მუნიციპალიტეტი ერთ ერთია, სადაც საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად შუალედური არჩევნებიც ჩატარდება. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის №38 64 განკარგულების საფუძველზე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება შეუწყდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის №54.01.04 სამტრედიის ქალაქის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეულ საკრებულოს წევრს, ლაშა რუსიას.

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" საფუძველზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №54 სამტრედიის საარჩევნო ოლქის №54.01.04 სამტრედიის ქალაქის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები 2018 წლის 28 ოქტომბერს დაინიშნა.

29 აგვისტოდან გამოცხადდა აგრეთვე, საუბნო საარჩევნო კომისიების შესარჩევი კონკურსი. საქართველოს მასშტაბით 3637 საარჩევნო უბნისთვის ვაკანტურია 21 822 ადგილი.

საქართველოს 18 წლის მოქალაქეებს, რომლებიც საკანონმდებლო მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, შეუძლიათ კონკურსში მონაწილეობა. მათ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს უნდა მიმართონ.

კამპანია 6 სექტემბერს დასრულდება.

31 აგვისტოს მდგომარეობით №54 ოლქის საარჩევნო კომისიას, ოლქის თავმჯდომარის, ნანა იმნაძის, განცხადებით, 103-მდე კონკურსანტმა მიმართა.

ქეთევან ჭელიძე

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში გაზეთი "სამტრედიის მაცნე" იხელმძღვანელებს საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და "საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, საარჩევნო სუბიექტები გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 4 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი, რომლის ღირებულება 200 ლარს შეადგენს.

საქართველოში რომ აწარმოო

თეა ბაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში შეკრებილ მეწარმეებს, ბიზნესსაქმიანობის წამოწყების მსურველებს და მცირე მეწარმეობით დაინტერესებულ პირებს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის სამტრედია-ვანი-ხონისა და ტყიბულის ბიზნესგანვითარების ოფიცერი ანდრო ჭარხალაშვილი მათთვის საინტერესო საკითხებზე ესაუბრა. შეხვედრა ეკონომიკის სამინისტროს ინიციირებით გახლდათ ორგანიზებული. საინფორმაციო ფორმატში განხილვის თემა ჯერ კიდევ 2015 წელს დაწყებული პროექტი გახლდათ, რომელმაც მნიშვნელოვანი სიტყვა უნდა თქვას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის "აწარმოე საქართველოში", განხორციელება თითქმის სამი წლის წინ დაიწყო, შეკრებილები გარკვეულ სიახლეებსა და საკვანძო საკითხებს გაეცნენ. სანამ დაინტერესულთა შეკითხვებს უპასუხებდა, ანდრო ჭარხალაშვილი პროექტის ირგვლივ აკეთებდა განმარტებებს და მეწარმეთათვის უფრო გასაგებად იხილავდა ყველა დეტალსა და ნიუანსს.

ეკონომიკის სამინისტროს ამ პროექტით, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობისათვის სახელმწიფო გრანტი 20 ათასი ლარის ფარგლებში გაიცემა. "ეს არანაირი სესხი და კრედიტი, სახელმწიფოს მიერ საწყის ეტაპზე გაცემული თანხა გახლავთ, რომელიც მეწარმემ დანიშნულებისამებრ უნდა გამოიყენოს." _ დააკონკრეტა ანდრო ჭარხალაშვილმა. გრანტით მხოლოდ ტექნიკა-დანადგარების, თანამონაწილეობით კი ბიზნესთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა შენაძენის გაკეთებაა დაშვებული. აქამდე მხოლოდ სამი პირის ამხანაგობით გახლდათ შესაძლებელი პროექტის წარდგენა, ამიერიდან ინდივიდუალური განაცხადიც მიიღება. პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა, რომ ბიზნესმა 6 თვის ვადაში უკვე უნდა მოიტანოს შემოსავალი.

რეგისტრაციის გავლის საშუალება მიკრო და მცირე ბიზნესით დაინტერესებულებს 2 სექტემბრამდე ექნებათ. ანდრო ჭარხალაშვილმა დაინტერესებულ პირებს სარეგისტრაციო ფორმის შევსების ინსტრუქტაჟი ჩაუტარა.

პროექტით "აწარმოე საქართველოში" სამტრედიის სინამდვილეში დღეის მონაცემებით 35-მდე ბიზნეს-პროექტია დაფინანსებული და გაცემულია 200 ათას ლარამდე თანხა.

გამომდინარე იქედან, რომ სამტრედია აგრარული რაიონია, შეხვედრაზე მყოფი სამტრედიელი მეწარმეები, ძირითადად, სოფლის მეურნეობის პროექტებით დაინტერესდნენ და საჭირო ინფორმაცია მიიღეს მათი განხორციელების საკითხებზე. თუმცა, როგორც ანდრო ჭარხალაშვილმა გაუსვა ხაზი, ეს ეკონომიკის სამინისტროს ინიციირებული პროექტია და არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის, არამედ, სხვა ბიზნეს-საქმიანობის სფეროსაც მოიცავს.

50-თეთრიანი მოწყალება

ნათია ნაცვლიშვილი

ერთ ლარზე დასული გლეხის იმედი _ ასე ვიწყებდი გასულ წელს თხილის ჩაბარების სეზონზე საგაზეთო წერილს. წლეულს ვითარება გაცილებით უიმედოა, მოსავალიც განახევრდა და ფასიც! და ეს მაშინ, როცა თხილი საქართველოში წამყვან საექსპორტო ათეულში იყო და 5-იოდ წლის წინ ერთი კილოგრამის ჩაბარების ფასი ათ-თორმეტ ლარამდეც ასულა!

ჩვენს მუნიციპალიტეტში თხილის ჩაბარების სეზონი იწურება, ბაზრობის ტერიტორიაზე, სახელდახელოდ გახსნილ თხილის მიმღებ პუნქტებში ამ კულტურის მიღება კანტი-კუნტად კვლავ მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ ფასის დაცემის რეკორდი წლეულს ნამდვილად მოიხსნა! ფაროსანამაც თავისი ქნა, სოკოვანმა და კიდევ სხვა სახის დაავადებებმა და შედეგიც სახეზეა: უგულო ან გულგამომპალი კილოგრამი თხილის ფასი 50 თეთრიდან იწყება და საუკეთესო თხილის ფასი 4 ლარს აღწევს. ჩაბარების სეზონი რომ გაიხსნა, ყველანაირ თხილს შეუმოწმებლად იბარებდნენ, თანდათან კონტროლი გამკაცრდა. თხილს ამტვრევდნენ და 10 თხილში რამდენი საღიც გამოერეოდა, თანხა იმის შესაბამისად გაიცემოდა. სავსებით უვარგისი თხილის ფასი (უმრავლეს შემთხვევაში კი თხილი სწორედ ასეთია) 50 თეთრიდან იწყება. ამ ფასის გამო მრავალ სოფელში და მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებმა მოქალაქეებმა თხილის მოკრეფისაგან თავი შეიკავეს, რადგან არსებული ფასი გაწეულ შრომას აღარ ანაზღაურებდა!

მოვისმინეთ, როგორ წუხდა ერთ-ერთ ჩამბარებელ პუნქტთან მისული ქალბატონი, რომელმაც თხილი გაღმა ზონის სოფლიდან ტომრით ჩამოიტანა: "ვკრეფდი და ფაროსანა მესეოდა, მაინც არ მომითმინა გულმა, წლის მოსავალი თაგვებს როგორ გავატანო-მეთქი, პირველად რომ ჩამოვიტანე, კილოგრამში 70 თეთრი გადამიხადეს, სწრაფი სესხი მაქვს გამოტანილი და თანხის ნაწილი მაინც დამიფარა. დღეს კილოგრამი 50 თეთრად ამინაზღაურეს, ისღა დამრჩენია, სამი კილოგრამი შაქარი ვიყიდო, სოფლამდე მარშრუტით მგზავრობის თანხაც ხომ გადასახდელი მაქვს!"

_ ტონობით თხილს ვღებულობდით, წლეულს კი, ხედავთ, მხოლოდ მცირე ტომრებით გვიწყვია, პირადად მე ნაჩხატაურში ვცხოვრობ, ოთხჯერ შევწამლე, მოსავალმა გამიმართლა და ვაპირებ, კარგ ფასად გავყიდო, აუცილებლად დამიკავშირდებიან სომხეთში ან სხვაგან თხილის გამტანი პირები, ძირითადად კი, მოსახლეობას უხარისხო თხილი მოაქვს და უხარისხოში მხოლოდ 50 თეთრს ვუხდით, ეს თხილი მეზობელ სამეგრელოში მიაქვთ, სადაც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თხილისაგან ზეთს ხდიან, რაც პარფიუმერიაში გამოიყენება, მოსახლეობამ თვითონვე უნდა იზრუნოს, თუ ადრიდანვე რამდენჯერმე შეწამლავთ, მოსავალიც კარგი იქნება!"_ გვირჩევს ერთ-ერთი ჩამბარებელი პუნქტის მეპატრონე.

იმედი ბოლოს კვდებაო, ნათქვამია, თუ გლეხმა მცენარეთა დაცვის საშუალებების შეძენა შეძლო იმ მაღაზიებში, რომლებიც ჩვენს მუნიციპალიტეტში ამ ბოლო ხანს სოკოებივით მომრავლდა, თხილის მოსავლიანობაც და ხარისხიანობაც ამაღლდება და პარფიუმერული მისწრაფებების დაკმაყოფილების ხასიათზეც დადგება.

არა მარტო გაცნობითი, სამუშაო შეხვედრაც

ქეთევან ჭელიძე

ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების შემდეგ იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი შავლეგო ტაბატაძე სამტრედიას ეწვია. რწმუნებული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა და არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციები მოისმინა. მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ დაწვრილებით გააცნო რწმუნებულს 2018 წელს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ისაუბრა ასევე, პრობლემებზე. კითხვა-პასუხის რეჟიმში საინტერესო ინფორმაციები მიაწოდა გუბერნატორს მერის მოადგილე დავით ბახტაძემ.

"უკვე 9 მუნიციპალიტეტში ვიყავი და გავეცანი, თითოეულ მათგანში რა პროექტები ხორციელდება, რა არის გასაკეთებელი უკეთესი ხვალინდელი დღისთვის". _ განაცხადა შეხვედრაზე გუბერნატორმა. _ "ჩემი შეხვედრების მთავარი ამოცანაა, სიღრმისეულად გავეცნო ყველა საკითხსა თუ პრობლემას, სწორი ანალიზი გავაკეთო რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად მოვაგვაროთ.

გარდა თვითმმართველობის წარმომადგენლებისა, აუცილებლად შევხვდები მოქალაქეებს და მათგანაც მოვისმენ, რა არის მათთვის პრიორიტეტი. გაძლევთ პირობას, რომ თითოეული თქვენგანი აქტიურად ჩაერთვებით მუნიციპალიტეტის განვითარებაში და ერთად განვსაზღვრავთ 2019 წლის პრიორიტეტებს".

"სამტრედიის მაცნესთან" საუბარში ვალერიანე ფოცხვერიამ ერთხელ კიდევ მიულოცა ახალ გუბერნატორს თანამდებობაზე დანიშვნა და აღნიშნა, რომ შეხვედრა არა მარტო გაცნობითი, სამუშაო ხასიათისაც იყო. ბატონი შავლეგო დაინტერესდა ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებით. ასევე, თუ რა გადაუჭრელი საკითხები არსებობს და მათ მოსაგვარებლად დახმარება აღუთქვა.

ლევან გაბეჩავა



პური არ უნდა გაძვირდეს, პოლიტიკური შოუებით ვერ დავნაყრდებით

სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ყოველი შემთხვევისათვის მოქმედი ხელისუფლების მიერ აღიარებულ გამოხატვის თავისუფლებას მოვიშველიებ, ევროპული და საერთაშორისო ნორმატიული აქტებითა და კანონპროექტებით, დეკლარაციებით რომაა გამყარებული.

ქართული მედია ამ დღეებში პურის შესაძლო გაძვირებაზე ალაპარაკდა.

36 ლარიდან 43 ლარამდე გაიზარდა ტომარა ფქვილის ფასი, ვეცადეთ, 46 ლარამდე არ გაზრდილიყო და 43 ლარამდე მაინც გაიზარდაო. წერს ერთ-ერთ საგაზეთო წერილში მეპურეთა ასოციაციის ხელმძღვანელი მალხაზ დოლიძე, რომელიც პურის საცალო ფასის ზრდასაც არ გამორიცხავს.

თან მიუთითებს იმ უარყოფით ტენდენციებზე, რამაც კაცობრიობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის არსებობის მთავარი პროდუქტის გაძვირება შეიძლება გამოიწვიოს.

ვისაც საკუთარი, თუ ოჯახის წევრთა, ახლობელთა ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ასე თუ ისე, აფთიაქებთან აქვს კონტაქტი, თუ არ დაგვეთანხმება, შედავებასაც არ იკადრებს თუ შუბლის ძარღვი აქვს, იმის გამო, რომ მედიკამენტებზე წინა წლებთან კი არა, წინა წელთან შედარებით ფასები რამდენადმე გაზრდილი.

ახლა საწვავი...

და ახლა კიდევ პურის გაძვირება?! არაფერს ვამბობთ დანარჩენ შემთხვევებზე.

რუბლის გაუფასურებას ასახელებს პურის შესაძლო გაძვირების ერთ-ერთ მიზეზად ერთ-ერთი პატივცემული ავტორი. მოგეხსენებათ, რუბლი ჩრდილოეული მეზობლის (აგრესორის) სახელმწიფოს ფულადი ერთეულია. გვესმის, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების პირობებში მეზობელ სახელმწიფოებში არსებული ვითარება გავლენას რომ მოახდენს კონკრეტული სახელმწიფოს მოსახლეობაზეც, მაგრამ რატომ გვქვია ჩვენ სახელმწიფო, თუ მსგავს გამოწვევებს ვერ გავუძელით და საკუთარ თავზე ვიგემეთ სხვათა სავალუტო კრიზისი?

არა მგონია, ვინმეს დავიწყებოდა სულ ახლახან, ახალი მთავრობის ახალი გუნდი ხალხის კეთილდღეობაზე რომ აქცენტირებდა, უკვე კი პურის გაძვირებაზეა საუბარი.

ღმერთმა ქნას შევცდე, მაგრამ შევარდნაძის შავბნელი დროიდან მოყოლებული ყველა დროში რომ ითქმებოდა, იმაზე უარესი ხდებოდა, უკეთესი არა, ე. ი. ცეცხლი უალოდ არ ჩნდება. ესე იგი, რაკი ითქვა, ალბათ, პური გაძვირდება?!

დიახ, გაძვირდება იმ ქვეყანაში, სადაც კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც საათობით უცდიან კვირაში რამდენიმე ნაწყალობებ (სახელმწიფოსაგან) პურს, როცა უფასო სასადილოებში ბენეფიციართა რაოდენობა იზრდება, როცა სათნოების სახლები ისევ იხსნება...

როცა...

პურის შესაძლო გაძვირება-არგაძვირებასთან დაკავშირებით რესპონდენტები შეგნებულად არ შემიწუხებია, რამეთუ გიჟად არავის ჩავეთვალე, ვინ ჭკუათმყოფი გამცემდა პასუხს, კარგია, თუ გაძვირდებაო.

ასე რომ, საკითხისადმი საკუთარ დამოკიდებულებას ვაფიქსირებ.

საკითხავია, რამდენს რამდენი ლარით მოემატა ხელფასი, პენსია, პური რომ უნდა გაძვირდეს?

სახელმწიფომ და სახელმწიფო მოხელეებმა, ეკონომისტებმა, ყველა თუ არა, ძირითად გამოწვევებს უნდა გაუძლონ აუცილებლად.

ნუ გავაძვირებთ, უფრო სწორად, ვეცადოთ, პური არ გაძვირდეს, პოლიტიკური სკანდალებითა და შოუებით ქვეყანაში, მის ყველა რეგიონში რომ მრავლად ვაწყდებით, ვერ დავნაყრდებით.

...

ვევედროთ უფალს, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს!

22/08/18 წ.

თარიღი წერილს შეგნებულად დავუსვით, რამეთუ შესაძლებელია პური უფრო ადრე გაძვირდეს, ვიდრე გაზეთის ეს ნომერი გამოვა.

ლ.გ

რეპლიკა

ამ მენტალობით ევროპაში შესვლა გა-გვი-ჭირ-დე-ბა!

არცთუ დიდი ხნის წინ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებთან, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების სიახლოვეს, მკვეთრ მოსახვევებთან, გზატკეცილებზე... "ბუგაროკები", "მწოლიარე პოლიციელები" დააყენეს. ცხადია, პროცესი რამდენიმე ხანს გაგრძელდა და მოსახლეობის საყვედურებმაც არ დააყოვნა: - სადაა ხელისუფლება, ჩვენს ქუჩაზე რატომ არაა მსგავსი შემზღუდავებიო?!

მერე ყველგან თუ არა, უმეტეს ადგილზე გაკეთდა ისინი და მოსალოდნელი ავტოსაგზაო შემთხვევების ალბათობაც რამდენამდე შემცირდა, თუმცა უკვე მასობრივი ხასიათი მიეცა მათ ხელოვნურ დაზიანებას, ბევრგან აყარეს რეზინები, მანქანებმა რომ "უპრობლემოდ" იმოძრაონ, ბახუსშეყრილებმა თუ ჟინმორეულებმა სიჩქარე უპრობლემოდ რომ განავითარონ დ ა. შ.

...

ბილწსიტყვაობაზე რომ არაფერი ვთქვათ, გაწევ-გამოწევასაც უთუოდ ექნება ადგილი, ვინმეს კულტურაზე რომ მივუთითოთ, არადა, არ არის კულტურა მსგავსი ქმედება. მით უფრო, მაშინ, როცა საქმე ადამიანთა სიცოცხლეს ეხება.

გაგვიჭირდება ასე ევროპაში შესვლა.

ლევან გაბეჩავა

მემორანდუმი ხელმოწერილია

ხელმომწერები ერთი მხრივ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხოლო მეორე _ ადგილობრივი მუნიციპალიტეტია. სკოლების ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარება, ისე როგორც ეს წლების წინ ხდებოდა, ადგილობრივი ბიუჯეტის პრეროგატივა შეიძლება გახდეს. გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერი საუბრობს იმაზე, რომ: "თუ ეს საკითხი მოახლოვებული სასწავლო წლის დაწყებამდე ვერა, მომავალი წლისთვის აუცილებლად გადაწყდება." შეხვედრა განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან ახლახან შედგა. მუნიციპალიტეტი სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზეც გახდება პასუხისმგებელი. ვალერიანე ფოცხვერია ადასტურებს: "მართალია, ამ ეტაპზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე გახლავთ გამოვლენილი ის კომპანიები, ვინც მოსწავლეების ტრანსპორტირებას ახდენენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განკარგვის სფერო იქნება, ჩვენც გამოვაცხადებთ შესაბამის ტენდერებს. თუკი ამ პროცესებს სასექტემბროდ მოევლება, აღნიშნულ საკითხებზე მუშაობას მალევე შევუდგებით, თუ არადა, როგორც უკვე აღვნიშნე, მომავალ წელს დაველოდებით."

მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც წლების წინ ადგილობრივი ბიუჯეტიდან განათლების სამინისტროსთვის გადაცემული საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობები და ინფრასტრუქტურა კვლავ ადგილობრივ ბიუჯეტს უბრუნდება, ხელმოწერილია. მუნიციპალიტეტის მერი თვლის, რომ ეს ტვირთად არ დააწვება ადგილობრივ ბიუჯეტს, რადგან ამ პროცესს ადგილობრივ ბიუჯეტში ცენტრალური ბიუჯეტიდან განათლების სფეროსთვის გათვალისწინებული თანხებიც გადმოყვება.

თეა ბაბუნაშვილი

8 სექტემბერი ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეა!

თქმა მართლისა...

ლევან გაბეჩავა

მეორმოცედ აღნიშნავს წელს ცივილიზებული მსოფლიო ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს.

1941 წელს ფაშისტებმა მხეცური წამებით მოკლეს ჩეხი ჟურნალისტი ფუჩიკი, რომელიც ანტიფაშისტურ პროპაგანდას ეწეოდა და ამხელდა ფაშიზმის, როგორც იდეოლოგიის, უმსგავსოებებს. მისი სიკვდილის შემდეგაც გრძელდებოდა მსგავსი ფაქტები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და აი, 1958 წლიდან მოყოლებული, ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე აღინიშნება 8 სექტემბერს. იგი ეძღვნება სხვადასხვა დროს მოკლულ, ნაწამებ ჟურნალისტთა, ოპერატორთა, მედიის მუშაკთა ხსოვნას და ერთგვარი გაფრთხილებაა პოლიტიკური ლიდერების, საზოგადოებისა, ხელი არ შეუშალონ მართალი, ობიექტური სიტყვის პროპაგანდას.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ობიექტურ შეფასებას ემსხვერპლა უნიჭიერესი ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე, 25 წლის წინ 1993 წლის 28 სექტემბერს, სოხუმის დაცემის მეორე დღეს დახვრიტეს იგი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. ქართველმა ერმა, ცივილიზებულმა სამყარომ დაგმო ეს ვანდალური შემთხვევა. დათო ბოლქვაძის სახელი სამარადჟამოდ ჩაიწერა აფხაზეთის კონფლიქტისას გმირულად დაღუპულ მამულიშვილთა სიაში.

საოცრად ობიექტური, მიუკერძოებელი პიროვნება გახლდათ გიორგი სანაია, სწორედ ეს გახდა მიზეზი მისი ბურუსით მოსილი გარდაცვალებისა. დღესაც გაუხსნელია მისი მკვლელობის საქმე.

მართალი სიტყვის პროპაგანდას ემსხვერპლა რუსი ჟურნალისტი დიმიტრი ხოლოდოვი.

ჟურნალისტთა უფლებების შელახვა და კიდევ უფრო მძიმე ფაქტები გამოვლინდა ''არაბული გაზაფხულისა'' და ''არაბული შემოდგომისას''. რაღა თქმა უნდა, არაბულ სამყაროში, მაშინ, როცა ერთი რეჟიმი მეორეთი იცვლებოდა.

მომდევნო წლებშიც არაერთხელ გვსმენია მედიასაშუალებებში დასაქმებულთა დევნა-შევიწროების, შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ, რაც საერთაშორისო კანონებითაა აკრძალული, დაგმობილი და უარყოფილი.

ვაჟკაცობის ტოლფასია განსაკუთრებით კონფლიქტური სიტუაციებისას მედიკოსთა და ჟურნალისტთა მიერ პროფესიული მოვალეობის განხორციელება.

გათავისება უნდა ყოველივეს!

იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე

ძველი სტილით 29 აგვისტოს, ახლით - 11 სექტემბერს აღინიშნება იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე.

იოანე ნათლისმცემლის ხელიდან უფალმა მიიღო ნათლობის მადლი, ამიტომ ეწოდა მას "ნათლისმცემელი". უდიდესი წინასწარმეტყველი, უფლის წინამორბედი მოწამეობრივად აღესრულა.

უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ ერთ-ერთი ქადაგებისას ბრძანა: "თუ საქართველო მართლმადიდებლურ სარწმუნოებას შეინარჩუნებს, ჩვენ ვცხონდებით ქვეყანა კი გადარჩება".

უწმინდესის განცხადებით, ქართველ ერს, თითოეულ ჩვენგანს უნდა გვახსოვდეს, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება, რომელიც წინაპრებმა შემოგვინახეს, არის საცხონებელი საშუალება.

მძიმე მარხვით ხვდებიან მორწმუნენი იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს.

შესაბამისი ღვთისმსახურება წარმოებს ამ დღეს მოქმედ ტაძრებში.

ლევან გაბეჩავა

მშვიდობა მსოფლიოს! უარი ტერორს!

სხვადასხვა რეგიონში განვითარებული კონფლიქტების გამო მშვიდობის თემა ისევ აქტუალურია მსოფლიოში, როგორც წინათ.

2001 წლის 11 სექტემბერს 19-მა ისლამისტმა ტერორისტმა ოთხი კომერციული სამგზავრო თვითმფრინავი შეიპყრო მგზავრებიანად და ეკიპაჟიანად. ორი მათგანი შეგნებულად დააჯახეს ორ თაუერს, მსოფლიო სავაჭრო ცენტრს (ე. წ. ტყუპებს), რის შედეგადაც დაიღუპნენ თვითმფრინავის მგზავრები და იმ დროისათვის შენობაში მყოფნი.

მესამე თვითმფრინავი ტერორისტებმა პენტაგონის შენობას დააჯახეს, მეოთხე ველზე ჩამოვარდა.

მსოფლიო შეძრა ამ ამბავმა. აუცილებელია აღნიშნოს, რომ ერთადერთი ქართველი, რომელიც სავაჭრო ცენტრში მუშაობდა, სიკვდილისაგან სასწაულმა იხსნა.

ხათუნა ბათლიძეს იმ დღეს სამსახურში რამდენიმე წუთით დააგვიანდა. როცა ტერაქტი მოხდა, იგი მეტროთი სამსახურისაკენ მიიჩქაროდა.

''ალქაიდას'' ლიდერი, შემდეგ მსოფლიოს პირველ ტერორისტად აღიარებული ბენ ლადენი მხოლოდ ტერაქტიდან რამდენიმე წლის შემდეგ იქნა ლიკვიდირებული, თუმცა ამით ტერაქტების სერიას წერტილი არ დასმია. სამწუხაროდ, ევროპულ თუ ბევრ სხვა ქვეყანაში, მსოფლიოში კვლავ ხდება ტერორისტული აქტები, რომელთა მსხვერპლიც უდანაშაულო ადამიანები, ქალები, ბავშვები, მოხუცები არიან.

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ოპერაციებში ჩართვა, მონაწილეობა.

მშვიდობა ხალხს! მსოფლიო ძალადობისა და ტერაქტების გარეშე!

ლევან გაბეჩავა

წამებულნი...

1924 წლის აგვისტოს მოვლენები საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაიწერა, როგორც ტრაგიკული, თუმცა, იყო ამ ტრაგედიაში იმედი, იმედი მომავლისა, თავისუფლებისა, რომელიც ლამის 70 წლის შემდეგ აღსრულდა.

სწორედ ამ წელს სცადეს ანექსირებული საქართველოს შვილებმა წართმეული დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენა, ამჯერად უშედეგოდ...

...

''გზაში დამცინოდნენ... საათნახევარი სიარულის შემდეგ მიმიყვანეს ერთ სახლში, რომელიც აღმასკომის სახლი აღმოჩნდა. გაწვიმდა. 20 წუთი აღმასკომის სახლის წინ ურემზე დაკრული ვიყავი. იქ მყოფნი მწუხარებას გამოხატავდნენ...''

ეს გახლავთ ამონარიდი მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) ჩვენებიდან, როცა იგი შეთითხნილი ბრალდებით სამღვდელოებასთან ერთად დააპატიმრეს.

...

''დაპატიმრებულია სულ 11 კაცი, თანდართული ოქმებით გადაეგზავნენ ქუთაისის მაზრის პოლიტბიუროს, მათ, რომლებიც განსაკუთრებით საშიშნი იყვნენ, არ უარყვეს მღვდელმსახურება, ქუთაისის პოლიტბიუროს საგანგებო სამეულის სხდომის 1924 წლის 1 სექტემბრის დადგენილებით მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა''. _ ამონარიდი სასამართლოს ოქმიდან.

განაჩენი აღსრულდა, მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა, რომელიც მაშინ 56 წლისა გახლდათ, ''დამნაშავე'' სასულიერო მოღვაწეებთან ერთად დახვრიტეს.

1994 წელს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დახვრეტილი მიტროპოლიტი ნაზარი წმინდანთა დასში ჩარიცხა - წმინდა მღვდელმოწამე ნაზარის სახელით.

მიტროპოლიტ ნაზარსა (ლეჟავა) და მასთან ერთად დახვრეტილ სასულიერო პირებს იხსენებს ამ დღეებში ეკლესია.

ლევან გაბეჩავა

მალე ყველაფერი კალაპოტში ჩადგება

მთავარი გარე მოვაჭრეების უკმაყოფილება არ არის

თეა ბაბუნაშვილი

არა მხოლოდ ბოლო წლებში, ბოლო ერთ ათეულ წელზე მეტია, გარევაჭრობა მოუგვარებლობის მოუგვარებლობად რომ ექცა საქართველოს. საბჭოთა ეკონომიკის მოშლამ, ფაბრიკა-ქარხნების გაპარტახება-პრივატიზებამ სამუშაოს გარეშე დარჩენილები უმეტესწილად მოვაჭრეებად აქცია. კლასიფიკაციაც კი "შეინიჭა" მათ ერთ ნაწილს და ისინი, ვინც ბაზრებმა ვერ დაიტია, ან დაიტია, მაგრამ სადაც აწყობთ იქ გაშალეს დახლი, გარემოვაჭრეებად მოინათლნენ. ბოლო წლებში, გამყიდველი მყიდველზე მეტი გახდა და გარე ვაჭრობაც არსად აღარ "ეტევა". ამაში დასარწმუნებლად სამტრედიის სინამდვილეში ჭანტურიას ქუჩის ქრონიკებიც კმარა. უფრო, სწორად, კმაროდა, რადგან ის, რაც გარევაჭრობასთან მებრძოლი ყველა ხელისუფლებისთვის შეუძლებელი გახლდათ, ამჯერად შესაძლებელი გახდა.

მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ გაფრთხილება რომ ჩაბარდათ და უშუალოდ მერიც ესაუბრა კანონით გარდაუვალ ცვლილებებზე, ჩვენი გაზეთის ფურცლებიდანაც იცის მკითხველმა და პატარა ქალაქის ყოველდღიურობიდანაც. მოვაჭრეებისგან უკვე გათავისუფლებულ ჭანტურიას ქუჩაზე მოწესრიგებული მოძრაობა, ტრანსპორტის მძღოლებისა და ფეხით მოსიარულეებისთვის დიდი შეღავათია. თავად მოვაჭრეები, ალტერნატიული სავაჭრო ფართების შეთავაზებას დათანხმებულები, რიგ შემთხვევაში კმაყოფილები, რიგ შემთხვევაში უკმაყოფილები არიან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათი უკმაყოფილების მიზეზი დროთა განმავლობაში მოგვარებადია. მუნიციპალიტეტის მერი მათ გასაგონად აცხადებს, რომ "მთავარი არა გარემოვაჭრეების კმაყოფილება, არამედ მყიდველი, სამტრედიელების ინტერესები, ჰიგიენური ნორმების დაცვა და სამტრედიისთვის სასიკეთო შეთანხმებაა."

თბილისისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთაზე არსებულმა სავაჭრო ტერიტორიამ მოვაჭრეების დიდი ნაწილი დაიტია. ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ ისინი, რომ აქ უკეთესი პირობები აქვთ, წვიმაში არ სველდებიან თავად და არ უსველდებათ პროდუქტი, მეტადაა დაცული ჰიგიენური ნორმები, მაგრამ არის ხარვეზებიც _ "თუ ყველა ერთად ვიქნებით, ჩვენც უკეთ ვივაჭრებთ. მართალია, იმ ნორმების დაცვით, რაც ჩაბარებულ წერილში იყო მითითებული, მაგრამ ნაწილი მოვაჭრეებისა ისევ ძველ ტერიტორიაზეა დარჩენილი. მყიდველი იქაც მიდის და აქაც. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ვაჭრობა ნაკლებადაა." _ ამბობს ერთ-ერთი მათგანი. გორიდან მიკროავტობუსებით ჩამოსული მოვაჭრეები კი თვლიან, რომ მათთვის ამ ადგილზე ვაჭრობა ნამდვილად შეღავათია. თუმცა, არა მხოლოდ ისინი, ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული გლეხები და ადგილობრივი ხელზე შემსყიდველები ვარაუდობენ: "მყიდველი მოგვეჩვევა და პრობლემაც მოიხსნება. ვიმედოვნებთ, ნელ-ნელა ეს ტერიტორიაც უფრო მოწესრიგდება და ნამდვილ ბაზარს დაემსგავსება." ივივეს აცხადებს ამ სავაჭრო ტერიტორიის ადმინისტრაციაც. მისი წარმომადგენელი ვასილ გიორგაძე ადასტურებს, რომ: "ბუნებრივია, ჯერ ყველაფერი ისე არ გახლავთ მოწყობილი, როგორც აგრარული ბაზარი საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი გამოცდილება გვაქვს, ახალია ეს ტერიტორია ამ ფორმით ვაჭრობისთვის. ამ ეტაპზე, ძირითადად, საბითუმო ვაჭრობაა გაჩაღებული, მგრამ მალე დახლებიც მოეწყობა და არავის დავუშლით მთელი დღის განმავლობაში აქ დგომას. ბუნებრივია, სანიტარული ნორმები დაცული იქნება, რასაც მკაცრად გავაკონტროლებთ. ჯერჯერობით არავინ არავის არაფერს ართმევს, მაგრამ ტარიფი რომ დადგინდება, ესეც ფაქტია. მოგეხსენებათ, ხარჯი ყველაფერს აქვს და არც აქაურობაა გამონაკლისი. ამიტომ ფასები განისაზღვრება საჭიროებების გათვალისწინებით. არ იქნება ტარიფი მაღალი, მაგრამ სულ უფასოდ, როგორც ეს ამ ერთი თვის განმავლობაში, ვერავინ დადგება. სიახლე გახლავთ ეს რაიონისთვის, ვთვლით, რომ სასიამოვნოზე უფრო, საჭირო სიახლე. ამიტომ სამომავლოდ ეს ტერიტორია მოვაჭრეებისთვის გაცილებით მოწესრიგებული გახდება. რაც სეეხება ამ ტერიტორიის გარეთ ვაჭრობას, თუ ასეთი პრეცედენტი კიდევ იქნება, მის აღმოფხვრაში ხელისუფლება უნდა დაგვეხმაროს. როგორც ხედავთ, სავაჭრო ცენტრებით დატვირტულ მიმდებარე ტერიტორიაზე მყიდველის ნაკლებობა არ უნდა იყოს."

რაც შეეხება ჭანტურიას ქუჩას, უკვე აღვნიშნეთ, რომ იქ მოძრაობა მოწესრიგდა, თუმცა, იმ ცნობილი ბუნკერის მიმდებარედ, სულ ერთი თვის წინ ყველით მოვაჭრეების "საჯილდაო ქვა" რომ გახლდათ, ანტისანიტარია ისევ თვალშისაცემია. აღარ არის ყველი, მაგრამ ძველებურად უსუფთაობაა!

ყოველდღიური მონიტორინგის რეჟიმით გარევაჭრობის მოწესრიგებას თვალყურს ადევნებენ მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის წარმომადგენლები. როგორც სამსახურის უფროსი ნოე ივანიაძე აცხადებს, რომ: "გაფრთხილების ჩაბარების მიუხედავად, იძულებულები გავხდით, რამდენიმე 500 ლარიანი საჯარიმო ფურცელიც ამოგვეწერა. მოგეხსენებათ, გაფრთხილების ჩაბარებიდან პირველად ჯარიმა 500, განმეორებით შემთხვევაში კი 3 ათასი ლარია ვფიქრობ, ნელ-ნელა მოვაჭრეებიც გაითავისებენ იმას, რომ ჰიგიენისა და სხვა ნორმების დაცვა აუცილებელია ვაჭრობისას. მყიდველიც და გამყიდველების დიდი ნაწილიც კმაყოფილია ამ პირობებით. ფაქტობრივად, ორ ლოკაციაზე გახლავთ დღეს ვაჭრობა სამტრედიაში, ერთი აგრარული ბაზარი და მეორე ეს ტერიტორიაა. ნელ-ნელა კიდევ უფრო მოწესრიგდება სიტუაცია. გარევაჭრობის აკრძალვა ხანგრძლივი პროცესი გახლდათ სამტრედიის სინამდვილეში."

გარევაჭრობის მოწესრიგების საქმეში ეკონომიკის სამსახურის გარდა ჩართული იყო კომუნალური, გამწვანებისა და კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის, ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოს სამსახურები. მობილიზებული გახლდათ პოლიცია. მონიტორინგი, ჯერჯერობით, კვლავ მიმდინარეობს და ასე იქნება პრობლემის საბოლოო აღმოფხვრამდე.

აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ მუნიციპალიტეტის მერის კატეგორიული მოთხოვნით, დაცულია ბაზრის მფლობელების პირობა, რომ ბაზარში შესვლიდან გარკვეული პერიოდი გარემოვაჭრეები თანხას არ გადაიხდიან.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია საუბრობს იმაზეც, რომ: "მომავალი წლის ბიუჯეტში ჩაისმება იმ ქუჩების სავალი ნაწილის და არხების მოწესრიგება, სადაც ვაჭრობა გახლდათ გაჩაღებული. წყალსაწრეტი არხები ამოვსებულია წლების განმავლობაში ნაგროვები სიბინძურითა და ნარჩენით და გზის სავალი ნაწილი იტბორება. მათ გასაგონად, ვინც თვლის, რომ ეს დროებითია, ვაცხადებ, რომ მთავარია ქალაქის და მოქალაქეების ინტერესები, მთავარია სანიტარული ნორმების დაცვა და ყველა, მათ შორის მოვაჭრეებიც სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის კანონიერ მოთხოვნებს უნდა დაემორჩილოს!"

აქილევსის ქუსლი სამტრედიის ყველა დროის ხელისუფლებისა, გარევაჭრობა, აღკვეთილია და ისეთი პირი უჩანს, რომ მასთან დაკავშირებული პროცესები მალე კალაპოტში ჩადგება.

ჩვენები

მუსიკის ენით სიყვარულის ძაფებს რომ აბამს...

ქეთევან ჭელიძე

მისი მუსიკაც ისეთივე გულიანი და ხალასია, როგორიც თვითონ. ცხოვრების რიტმს აყოლილი მისი ბგერები ენერგიულია და ორიგინალობით გამორჩეული, თანამედროვეც და კლასიკურიც. მას მთელ მსოფლიოში უსმენენ. ხანგრძლივი ტაში და ოვაციაც მისი შემოქმედების თანმდევი პროცესია, წლებია, ჩვეულებრივ მოვლენად რომ ექცა ლევან შენგელიას.

ცნობილი კომპოზიტორი და პიანისტი დიდი ხანია ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისი პოპულარობა ზენიტს აღწევს, ჭსა კი ამ ფანტასტიკური მუსიკოსის სამტრედიიდან იწყება. საამაყო თანამემამულის ქართულ-ამერიკულ ცხოვრებაზე შეკვეცდებით, რუბრიკაში "ჩვენები" მოგიყვეთ.

სულ პატარა იყო, ფორტეპიანოზე დაკვრის იმიტაციას სკამზე აკეთებდა. სცადეს და დაბა კულაშის სამუსიკო სკოლაში მიიყვანეს. ეს "პატარა, სუსტი ბიჭი", როგორც მას იგონებენ, საოცარი უნარისა და შესაძლებლობების გამო, მე-6 კლასიდან თბილისში, ნიჭიერთა ათწლედში აგრძელებს სწავლას. მერე იყო ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საკომპოზიციო განყოფილება. ოთარ თაქთაქიშვილი, ანდრია ბალანჩივაძე, ბიძინა კვერნაძე _ ის კომპოზიტორები არიან, ვისთანაც სპეციალობას ეუფლებოდა. მისი აზრით, მუსიკალური ნიჭი შესაძლოა, გენეტიკურიც იყოს. "დედას ბიძაშვილი იყო კომპოზიტორი ოთარ თევდორაძე. აგრეთვე, კარგად უკრავდა ფანდურზე ბებია. ზუსტად ვერ იტყვით, საიდან და როგორ ხდება ეს". _ გვეუბნება ის. მე-2 კურსის სტუდენტი იყო, კონსერვატორიას ამერიკიდან კომპოზიტორების ჯგუფი რომ ეწვია. მოუსმინეს ლევანს და შესთავაზეს, სწავლა ამერიკაში გაეგრძელებინა. ასეც მოხდა. ჰარვარდის უნივერსიტეტში კომპოზიტორის პროფესიას დაეუფლა. პარალელურად, იმავე უნივერსიტეტში ინგლისურ ენასაც სწავლობდა. ენობრივი ბარიერი ხელს არ უშლიდა, წარმატებისათვის მიეღწია. ბევრს მპატიობდნენო, იხსენებს. სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა. ჰქონდა უამრავი კონცერტი შტატების მასშტაბით და საცხოვრებელ ადგილებსაც ხშირად იცვლიდა. მაიამი, ვაშინგტონი და ბოლოს ნიუ-იორკში დასახლდა. დღეს ამერიკის მოქალაქეა. ზრუნავს, რომ მალე საქართველოს მოქალაქეც გახდეს.

თემურ შაშიაშვილის თხოვნით, როცა ის იმერეთის გუბერნატორი იყო, კომპოზიტორი და ვირტუოზი პიანისტი საქართველოში დაბრუნდა. ჩვენი ქვეყნისთვის ბევრი კარგი საქმის გაკეთებას შეძლებო, უთხრა ბატონმა თემურმა. მართლაც, კარგ საქმეს ვაკეთებდითო, თქვა მან. ქუთაისში ბენდი ჩამოაყალიბა და ორკესტრთან ერთად კონცერტებს მართავდა. მათ შორის, ერთ-ერთი დაუვიწყარი კონცერტი სამტრედიაშიც ჰქონდა. 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ლევან შენგელია მეორედ წავიდა ამერიკაში.

ნიუ-იორკი ლევან შენგელიასთვის მეორე სახლია. უყვარს ეს ქალაქი, სადაც აუცილებლად გაგიმართლებს, თუ შრომისმოყვარე და პროფესიონალი ხარ. "ან საუკეთესო უნდა იყო ან საერთოდ არ უნდა იყო!" _ სწამს მას. ამ პრინციპის გამო, როცა საქმე მუსიკას ეხება, არალოიალურია და ზედმეტად მკაცრიც კი ხდება. "ვაიმე, მოდისო", ამბობენ მასზე. ბევრს მუშაობს. არა მარტო ქმნის, ნიუ-იორკის უნივერსიტეტშიც ასწავლის. აქვს კონცერტები, შეხვედრები პოპულარულ ადამიანებთან და მსმენელთან. მათთან, ვინც ზუსტად რეაგირებს და აღიქვამს მის მუსიკას. მისი ერთ-ერთი კონცერტი ისეთ ცნობილ დარბაზშიც გამართა ნიუ-იორკში, როგორიც კარნეგი-ჰოლია. ლევან შენგელიას ჟანრი "ახალი საუკუნეა", რომელიც თანამედროვე მუსიკისა და კლასიკური ეპიზოდების სინთეზს წარმოადგენს. აღნიშნავს, რომ "დღეს ისეთი პოპულარობით აღარ სარგებლობს კლასიკური მუსიკა, როგორც უწინ, მაგრამ მოვა დრო და მიუბრუნდებიან, რადგან ყველაფერი იქიდან იწყება". ქართული ელემენტებით გაჯერებული მისი კომპოზიციების ფარგლებს სცდება და სიახლეა, როგორც ამერიკელი, ისე ქართველი მსმენელისთვის. ყველაზე უკეთ მაშინ ვწერ, როცა პრობლემები მეძალებაო, გვიმხელს. კომპოზიტორის თითოეული ღრმა და დინამიური მუსიკალური ფრაზაც სირთულეებიდან თავის დაღწევის აქტიური გამოხატულებაა.

ბენდში, რომელიც მან ნიუ-იორკში შექმნა, ამერიკელებთან ერთად ქართველი მუსიკოსებიც უკრავენ. "ძალიან ნიჭიერი ადამიანები არიან". _ გვიხასიათებს მათ. _ "მე თითქმის ყოველთვის სპონტანურად ვქმნი მუსიკას. ერთსა და იმავე კომპოზიციას ხშირად სხვადასხვა ვარიაციით ვასრულებ და ისინიც მომყვებიან ამაზე. ბედნიერებაა, რომ ეს შეუძლიათ. ზოგიერთი თვლის, რომ კლუბში არ უნდა დაუკრა. მე ასე არ მიმაჩნია, პირიქით, მომგებიანია და ბევრი რამ მუსიკოსის კარიერაში იქიდან იწყება".

ლევან შენგელიას ნაწარმოებები მინიმალისტურია. არ მინდა მოსაწყენი იყოს მაყურებლისთვისო, _ დასძენს და ესეც მისი ხასიათიდან გამომდინარე. ერთ ადგილზე დიდხანს ყოფნა არც მას შეუძლია და ამას არც მაყურებელს "აიძულებს". სულ მოძრაობს, ასეთია თანამედროვეობის ტემპი და ისიც ამ თანამედროვეობის ნაწილია. მუსიკასთან ერთ-

ად იგი ფოტოგრაფიითაც არის გატაცებული. ბევრ სხვა სასიკეთო საქმესაც აკეთებს. დახმარების ხელს უწვდის ამერიკაში მყოფ ქართველებს და გზას უკვალავს მათ. ირაკლი შარაძეც, ნიჭიერი მუსიკოსი, დღეს უკვე მისი უახლოესი მეგობარი და ბენდის წევრი, მისი შუამდგომლობით აღმოჩნდა ამერიკაში. "ვეუბნები ხოლმე ირაკლის: მე რომ შენ დაგეხმარე, შენც ასევე უნდა დაეხმარო სხვას, სხვამ კიდევ სხვას და ასე შემდეგ... სიკეთე გადამდებია!" _ მიიჩნევს ის.

ბევრ ღირსეულ ქართველთანაც აქვს ურთიერთობა ამერიკაში, რომლებიც სამშობლოში დაბრუნებაზე განუწყვეტლივ ოცნებობენ. სამშობლოში დაბრუნების სურვილი ბატონ ლევანსაც აქვს, თუმცა, ვერც ამერიკას შეელევა, ისიც ჩემი სამშობლოაო, ამბობს.

როგორც ყოველთვის, კომპოზიტორი დასასვენებლად საქართველოს ამ ზაფხულსაც ეწვია, მაგრამ, როგორც ყოველთვის, არც ამჯერად გამოუვიდა დასვენება. კონცერტების ჩასატარებლად სხვადასხვა ქალაქში მუდმივად ეპატიჟებიან. მის მუსიკას ინტერნეტსივრცეში მილიონზე მეტი მნახველი ჰყავს. შემოქმედებითი პოპულარობა მის პიროვნებას ვერაფერს "აკლებს". ისევ ისეთია, როგორიც აქამდე. მეტიც, აღიზიანებს საკუთარ თავზე განსაკუთრებული წარმოდგენების მქონე ადამიანები. მათთან საქმეს არ იჭერს. ხელოვნურები არიანო და ნამდვილ მუსიკოსებად არ მიაჩნია. მისი ხიბლი მისი სიკეთე და სიყვარულია გარშემო მყოფთა მიმართ. "პირველად უნდა იყო ადამიანი და მერე მუსიკოსი!" _ ასეთია თვითონ ლევან შენგელია. მუხრან მაჭავარიანისადმი პატივისცემაც სწორედ ამგვარი უბრალოებიდან მომდინარეობს. ბავშვობაში, როცა ნათესავს თავის სოფელში მიჰყავდა, იქ მეზობლის კაცი ხშირად კანფეტით უმასპინძლდებოდა. მას ძალიან მოსწონდა ეს კაცი. მაშინ არ იცოდა, რომ ის პოეტი მუხრან მაჭავარიანი იყო. ასე დაიწყო მათი ნაცნობობა. რამდენიმე წელია, მადლიერების ნიშნად მის ხსოვნას სოფელ არგვეთში, პოეტის სახლ-მუზეუმში კონცერტს უძღვნის. ასე იყო წელსაც _ "ჯადოსნური ღამე" ლევან შენგელიასთან ერთად განსაკუთრებული გამოდგა. ის კონცერტი, როგორც ბევრი სხვა, ამერიკაში მცხოვრები ქალბატონის, დიანა ბაგრატიონის ფონდმა დაასპონსორა. მოგვიანებით ქალბატონი დიანა ლევან შენგელიას უგზავნის წერილს და სექტემბერში მისი, ირაკლი შარაძისა და მომღერალ ნინი შერმადინის პრეზიდენტ ტრამპთან მიწვევას აუწყებს.

"ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა პოეტის სახლ-მუზეუმში. საოცარი დღე იყო". _ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს მუსიკოსი. კონცერტს იმერეთის ახლად დანიშნული გუბერნატორი შავლეგო ტაბატაძეც ესწრებოდა. ჩვენთან საუბარში ერთი ფაქტიც გაიხსენა ბატონმა ლევანმა: "კონცერტის წინა დღეს გოგონა მოვიდა ჩემთან და მთხოვა, როიალზე დაეკრა. მომეწონა მისი შესრულება და ვუთხარი, კონცერტზე მოსულიყო. არ ვიცი, მამას ვეტყვიო. მამათქვენი ვინ არის-მეთქი და ხვალ აქ იქნება, იმერეთის გუბერნატორიაო... საოცარი ადამიანი აღმოჩნდა ბატონი შავლეგო. პატრიოტი, კარგი ქართველი".

სალომე ტაბატაძე, რომელიც კიოლნის ახალგაზრდული ცეკვისა და მუსიკის ხელოვნების სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულია, სწავლის გაგრძელებას ისევ გერმანიაში, კონსერვატორიაში აპირებს. იმ საღამოს კონცერტს ვერ დაესწო, თუმცა, ლევან შენგელიას სურდა, პუბლიკის წინაშე წარმდგარიყო და გაეცნოთ იგი.

ცოტა ხანში ბატონი ლევანი საქართველოდან გაემგზავრება, მაგრამ რამდენიმე კონცერტის ჩატარებას მაინც მოასწრებს. ჩვენთან საუბრის შემდეგაც ბათუმში მიიჩქაროდა კონცერტის ჩასატარებლად. მიწვეულია წყალტუბოშიც და კიდევ სხვაგან. ერთი რამ ისევ დარდად წაჰყვება, ალბათ. თავის მშობლიურ ქალაქში, რომელიც ასე უყვარს, თითქმის არ სცნობენ, არ იცნობს სკოლა, სადაც ის სწავლობდა. რომ სამტრედიაში სურვილს არ ამჟღავნებენ, მის მუსიკას მოუსმინონ.

მასზე ბევრს წერენ და საუბრობენ ამერიკულ მასმედიაში. "სამტრედიის მაცნეც" ერთ-ერთია, სამტრედიელებისთვის უფრო ახლოს გაგვეცნო "მუსიკალური სამყაროს ჯადოქარი, რომელიც კლავიატურასთან საოცრებას ქმნის". ლევან შენგელია ერთ-ერთი ჩვენიანია, მუსიკის ენით სიყვარულის ძაფებს რომ აბამს ამერიკასა და საქართველოს შორის.

"არ დაუჯდეროთ მათ, ვინც მომავლის ბანაკების შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებს"

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების უფროსკლასელების კიდევ ერთი ნაკადი გაემგზავრა ანაკლიის მომავლის ბანაკში. პროექტს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უწევს ორგანიზებას და იგი რა ხანია, წარმატებულად მიმდინარეობს. უკვე განხორციელდა მოსწავლეთა კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული დასვენება კაჭრეთში, მანავსა და ხელვაჩაურში, საინტერესო იყო ქუთაისის რობოტექნიკის ბანაკი. "სამტრედიის მაცნემ" კომენტარი საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტ ელიზა ცხვირავაშვილს მაშინ სთხოვა, როცა მან ერთ-ერთი ნაკადი მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარე ტერიტორიიდან გააცილა.

ელიზა ცხვირავაშვილი: "სამტრედიის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლის მეათე და მეთერთმეტე კლასელები მიემგზავრებიან ანაკლიის მომავლის ბანაკში, სულ თოთხმეტი მოსწავლე, ეს ამ ზაფხულს ანაკლიაში მეორე გასვლაა. ბავშვები ერთი კვირით დარჩებიან, ეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მაღალ დონეზე ორგანიზებული პროექტია, შეირჩნენ მცირეკონტინგენტიანი სკოლების მოსწავლეები, მრავალშვილიანი ოჯახების შვილები, სოციალურად დაუცველნი და სხვადასხვა პროექტებში გამარჯვებულნი. ამ მოსწავლეებს ელით შემეცნებითი, კულტურული და სპორტული აქტივობებით დატვირთული დასვენება."

კომენტარი მოსწავლეებსაც ვთხოვეთ. მარიამ მანგაძე, დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე: "არასოდეს ვყოფილვარ მსგავს ბანაკში, მაგრამ მეგობრებმა იმდენად კარგად მოიგონეს იქ გატარებული დღეები, დიდი მოლოდინი მაქვს."

თამარ ფანცულაია, კორმაღლის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე: "ანაკლიის მომავლის ბანაკში გასულ წელს დავისვენე, იმდენად ბედნიერი დღეები იყო, ისე დიდი იყო იქ მიღებული ემოციები, მთელი წლის განმავლობაში ვუზიარებდი მეგობრებს ბანაკის შთაბეჭდილებებს. საუკეთესო ტრენინგები ჩაგვიტარდა, ყველაზე მეტად გამომადგა ტრენინგები ეკოლოგიის თემაზე, მიყვარს ბუნებაში ლაშქრობა. მე, ნინო კვეტენაძემ და მაიკო ხუჭუამ გავიმარჯვეთ ინტელექტუალურ თამაშში, რაც ჩვენთვის დაუვიწყარი იყო, წლეულსაც ველოდები ბევრ საინტერესოს."

თამთა ნადარეიშვილი, კულაშის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე: "გასულ წელს ვიყავი მომავლის ბანაკში, ძალიან კმაყოფილი დავბრუნდი, ჩემს თანატოლებთან ერთად უამრავი აქტივობა განვახორციელეთ, სადაც საჭირო იყო კრეატიული აზროვნება და სისხარტე, გვიწევდა შეჯიბრება და ამა თუ იმ საინტერესო დავალების ისე შესრულება, რომ ჩვენი ნამუშევარი ყოფილიყო გამორჩეული და ორიგინალური. ხან ვიმარჯვებდით, ხანაც სხვა გვამარცხებდა. წლეულს გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს ამ ახალგაზრდულ ბანაკებში ბავშვებს გარყვნილებას ასწავლიდნენ, აღმაშფოთა იმათმა კომენტარებმა, ვინც ამას წერდა. უფრო იმან აღმაშფოთა, რომ დადებითი შინაარსის პოსტებს გვერდიდან აქრობდნენ, მინდა, ყველა მშობელს ვუთხრა, თუ მათ შვილებს აქვთ შესაძლებლობა, წავიდნენ ამ ბანაკებში, არ დაუჯერონ მსგავს დეზინფორმაციას და ხელი არ შეუშალონ შვილების კულტურულ განვითარებას და საინტერესო დასვენებას".

ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიაში

“ზვიადს მოუთხოვია, უღალატო, სანდო ბიჭები შემოვიდნენო”

ნათია ნაცვლიშვილი

გიორგი მესხი თავს ოთხი ომის მონაწილედ მიიჩნევს, ჯარისკაცის ფორმა მრავალგზის ჩაიცვა და სამშობლოს ერთგულება დაუმტკიცა. უმწიკვლოდ ემსახურა ეროვნულ ხელისუფლებას, ბევრი გადაიტანა გამსახურდიას მთავრობის ერთგულების გამო, სამოქალაქო ომმა და ძმათა შორის დაპირისპირებამ უმძიმესი თარიღებით მისი ბიოგრაფიაც დატვირთა. ჩვენი რესპონდენტი ცივი გონებით აფასებს არცთუ დიდი ხნის წინანდელ მოვლენებს და განვლილ მძიმე წარსულზე გვიყვება...

_ რა ფაქტორმა განაპირობა ეროვნულ ძალებთან თქვენი დაკავშირება?

_ ჩემი და მანანა თბილისში მთავრობის სახლთან ახლოს ცხოვრობს, მოგეხსენებათ, ყველა აქცია და მიტინგი იქ ტარდებოდა. ეროვნული მოძრაობის ეპიცენტრში ისე აღმოჩნდი, აქაურ ლიდერებს არც ვიცნობდი. 1989 წლის 7 აპრილს სამტრედიაში დაბრუნდი.

დედაქალაქში მიმდინარეობდა აქცია მოთხოვნით: გასულიყო რუსის ჯარი საქართველოდან, მგლოვიარე ქართველ ვაჟკაცებს თავზე შავი ლენტები ეკეთათ, აქციების ტალღამ რაიონებშიც გადმოინაცვლა. სწორედ ამ აქციაზე გავიცანი ზვიად ძიძიგური, ზაზა ადეიშვილი, ლევან ნიკურაძე და სხვა ლიდერები. ყოფილი სასტუმროს შენობაში სამხატვრო გალერეა დაგვითმო შესანიშნავმა პიროვნებამ, მხატვარმა ლუკა კოხრეიძემ, იქ ზვიად ძიძიგურმა, სოსო შუბლაძემ და სხვებმა ჩამოაყალიბეს “წმინდა ილია მართლის საზოგადოება”, მასში გავწევრიანდი და ყველა ძირითადი მოვლენის ეპიცენტრში ვიყავი. მერე კულტურის სახლის წინ შეკრებილები საბჭოთა არმიაში გაწვევას ვეწინააღმდეგებოდით, ერთ დღესაც ბატონებმა მერაბ კოსტავამ და ირაკლი ბათიაშვილმა მოინახულეს მჯდომარე აქციის მონაწილე წვევამდელები, მათზე უფროსი ვიყავი, მაგრამ მხარს ვუჭერდი და მათთან ვიჯექი. მართლაც მივაღწიეთ იმას, რომ საბჭოთა ჯარში არ გვემსახურა, სწორედ მაშინ ეყრებოდა საფუძველი ეროვნულ გვარდიას.

_ თქვენ პატრულირებდით სამაჩაბლოს სოფლებშიც, ამ პერიოდს როგორ იხსენებთ?

_ ცხინვალში ზვიად გამსახურდია და მერაბი მიტინგის ჩატარებას აპირებდნენ, მსჯელობდნენ, თუ როგორ შევსულიყავით, მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო შოთა გორგოძე, მძიმე ტექნიკით გზა გადაგვიკეტეს, ლიდერები სისხლისღვრას ერიდნენ და არ შევედით, აქცია ცხინვალის შესასვლელთან გაიმართა. თანდათან იძაბებოდა ვითარება ცხინვალში და სოფლების მოსახლეობა უნდა დაგვეცვა პროვოკაციებისაგან, სამტრედიელებმა სკოლებიდან სასწავლო ავტომატები ამოვიღეთ და გადავკეთეთ, ზურაბ ზაქარიაძეს ჰქონდა სახარატო ჩარხი, სადაც ხდებოდა ამ ტექნიკის მწყობრში მოყვანა, ჩვენ იქ არ გავჩერებულვართ, დარჩნენ შალვა ცინცაძე, გოგიტა ალფაიძე და სხვები, მანამდე ოცდამეოთხე სკოლაში აქესენტი თვალაბეიშვილი და მამული ბაღდავაძე ფიზიკურად გვწვრთნიდნენ თავდაცვით საკითხებში. სამტრედიის პოლიცია რომ წავიდა პატრულირებისათვის ცხინვალში, დაიღუპნენ ტარიელ კოპალეიშვილი და სევერიან თევზაძე. იარაღი უკვე მზად იყო, მეორე დღესვე მოხდა ეროვნული ძალების მობილიზაცია, სახელმწიფო დაწესებულებებმა გამოგვიყვეს და გვათხოვეს ვილისები და 25 კაციანი ჯგუფი მეორე დღესვე წავედით ცხინვალში, დავბანაკდით ჯერ გორში, ჩვენი საზოგადოების გორის შტაბში, მერე უკვე სადაც საჭირო ვიქნებოდით, გაგვანაწილებდნენ. პირველ ეტაპზე ზვიად ძიძიგური იყო ჩვენი ხელმძღვანელი, მერე შემოგვიერთდა თამაზ ესებუა, სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, მოგვიანებით იგი სამტრედიის 24-ე ბატალიონის მეთაური გახდა. ზემო და ქვემო ნიქოზში ქართველებს ჩვენმა გამოჩენამ იმედი ჩაუსახა, კომენდანტ ეპიტაშვილთან შეთანხმებით, კოორდინირებულად ვიცავდით ამ სოფლებს, დაღუპვით არავინ დაღუპულა, დაგვეჭრა სულიკო ჭკუასელი. ზემო ნიქოზში, რუსებისა და ოსების ერთობლივი ერთ-ერთი შეტევის დროს სიკვდილს ზაზა ადეიშვილმა გადამარჩინა, მას რომ არ დაეძახა, მესხი დაწექიო, ჭურვი შუაზე გამაპობდა.

_ ზვიად გამსახურდიას როგორ დაუახლოვდით?

_ პრეზიდენტად არჩევამდე კულტურისა და დასვენების პარკში, შემაღლებულ ადგილას მან გრანდიოზული მიტინგი ჩაატარა. მანამდე კი თბილისში ჩვენი საზოგადოების კონფერენციაზე შეეხვდი, სადაც დელეგატად ვიყავით 50-მდე სამტრედიელი, საღამოს ბანკეტზე მიგვიწვიეს. მე და გია სტურუამ ბანკეტზე დავაგვიანეთ, ბატონ ზვიადთან არ იყო შევსებული ადგილები, მან მიგვიწვია და მის ახლოს აღმოვჩნდით, დაუვიწყარია მასთან ერთად გატარებული საათ-ნახევარი. მალე მერაბი დაგვეღუპა ტრაგიკულად, ვიმყოფებოდით მის პანაშვიდზეც და დაკრძალვაზეც. დემოკრატიულად არჩეულ პირველ პრეზიდენტს ოპოზიცია რომ დაუპირისპირდა, მოწინააღმდეგენი სამტრედიაშიც მოგვიმრავლდნენ, შეიარაღებულ წინააღმდეგობას “მხედრიონელები” გვიწევდნენ. მათ ვანის “მხედრიონიც” უერთდებოდა ხანდახან. პრეფექტ ზვიად ძიძიგურის მძღოლად ვმუშაობდი, ზვიადის საახლოვეს ყოველთვის იყვნენ ზურიკო ჯინჭველეიშვილი, ბიჭიკო ანთიძე და თამაზ ლომსაძე. ე. წ. “მხედრიონმა” დედის ძეგლის წინ გაშალა კარავი ზვიად ძიძიგურის გადადგომის მოთხოვნით.

_ მათ მოთხოვნას სამტრედიაში ბევრი უთანაგრძნობდა?

_ არავინ უთანაგრძნობდა, მალე შეტევაზე გადმოვიდნენ “მხედრიონელები”, უნდოდათ პრეფექტურის (დღევანდელი მერიის შენობა) აღება, პირველ სართულზე შენობაში ვიმყოფებოდით და საეჭვო პირთა გადაადგილება შევამჩნიე, როცა გარეთ გავედი, დედის ძეგლის ტერიტორიიდან ადამიანთა მასა დაიძრა და შენობას უახლოვდებოდნენ, მერე ცეცხლიც გახსნეს, შიგნით მყოფნი იძულებულნი გავხდით, მაღლა გვესროლა... არ დაიბნა ცხონებული თამაზ ლომსაძე, სახურავიდან დაიკავა პოზიცია და იმ მიმართულებით ისროდა, მოწინააღმდეგე შეაკავა. ფაქტობრივად, ალყაში მოგვაქციეს, მათთვის უნდა გვეჩვენებინა მცირედი ძალა მაინც, ყველაზე დიდი ძალა კი ხალხმა აჩვენა, ნიქოზიდან ჩამოსული ბიჭები შემოგვიერთდნენ და შენობა გავამაგრეთ. გარეთ ქალაქიან-კაციანად, ვისაც სახლში იარაღი ჰქონდა, ყველა შემოგვიერთდა, პრეფექტურის შენობას გარს შემოერტყნენ და “მხედრიონელებს” უთხრეს, ჩვენ გვესროლეთ, ამათ ბოლომდე დავიცავთო, ფეხი არავის მოუცვლია, ოთხი დღე ჩვენ შენობიდან არ გამოვსულვართ... “სახალხო ლაშქარი” შეიქმნა, საჭმელიც მოჰქონდათ...

_ სად იყო ამ დღეების განმავლობაში ადგილობრივი პოლიცია?

_ პოლიცია ჩვენ შემოგვიერთდა, გადაკეტა ქუჩები სატვირთო მანქანებით, ახლა რომ ბენზინგასამართი სადგურია, იმ მხრიდან ვიღაცამ შაშხანით ცეცხლი გაგვიხსნა, საბედნიეროდ, ის პიროვნება პოლიციამ დაიკავა. “მხედრიონელებმა” მიზანს რომ ვერ მიაღწიეს და პრეფექტი ვერ გადააყენეს, გამაგრდნენ ავტოსადგურის გვერდით მდებარე საყოფაცხოვრებოს შენობაში, მერე ეს შენობა პოლიციამ ალყაში მოაქცია. სამტრედიაში მანქანა კონტროლის გარეშე ვერ შემოვიდოდა, ჩვენც ვეხმარებოდით პოლიციელებს წესრიგის დამყარებაში. მალე მთავრობის სახლთან გამსახურდიას გადადგომის მოთხოვნები გაისმა, პრეზიდენტი თავისი ამალით ე. წ. ბუნკერში აღმოჩნდა. მანამდე დაჩქარებულად ჩამოყალიბდა ეროვნული გვარდიის სამტრედიის 24-ე ბატალიონი, ყოფილი ზოოვეტის შენობა გადმოგვეცა, მე ძირითადად პრეფექტურაში ვმუშაობდი, ბატალიონს მეთაურობდა თამაზ ესებუა, მოადგილე იყო ჯემალ შანიძე, ის ფინანსურადაც ძალიან გვეხმარებოდა. ჩვენი ბიჭები გარე პერიმეტრიდან ვაკონტროლებდით მთავრობის სახლს, გვარდიის შენაერთების ნაწილი განლაგებული იყო თბილისის ზღვაზე, მაშინდელ თავდაცვის მინისტრ თენგიზ კიტოვანს არ დაემორჩილა სამტრედიის 24-ე ბატალიონი, ერთგული დარჩა ზვიად გამსახურდიასი. პირველი ტყვია რომ გავარდა მთავრობის სახლთან, დაგვეჭრა ზურა ჯინჭველეიშვილი, მერე გია სტურუა. სამტრედიის ბატალიონის ბიჭების ნაწილი შენობაში იყო, გარედან შენობებს ცეცხლი ეკიდა. ნაწილი სამოქალაქო ფორმით ვიყავით, რადგან შიგნით შენობაში არ ვყოფილვართ, უკან სამტრედიაში გამოვბრუნდით, მოვახდინეთ თანამებრძოლთა მობილიზაცია, თამაზ ესებუას ხელმძღვანელობით წავიყვანეთ ტანკი და “ბმპ” და თბილისში უნდა შევსულიყავით მთავრობის სახლში, მაგრამ ღალატს ჰქონდა ადგილი და შეგვაყოვნეს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ვინმე ჭელიძის მეთაურობით დაიგეგმა ოპერაცია, რამდენიმე ქვედანაყოფი მთავრობის სახლში შევსულიყავით. მაგრამ ოპერაცია გაყიდული აღმოჩნდა. ჩაგვისაფრდა ქუთაისის ბატალიონის მეთაური, ჩაკვეტაძე, რომელიც კიტოვან-იოსელიანს ემორჩილებოდა, ჩასაფრების დროს დაგვეღუპა ვეფხია წიქვაძე, ამ ბატში (ნაღმების ჩასაწყობი ჯავშნიანი მანქანა) თოთხმეტნი ისხდნენ, ჩვენ უკან მანქანით მივყვებოდით, თოთხმეტივემ კანტუზია მიიღო, პოზიციას რომ ვამაგრებდით, იმ ბატიდან ამოვიდა კობა გრიგოლია, გვითხრა, ოპერაცია გაყიდულია, ბიჭები დაგვეღუპნენ, თქვენც ხაფანგში რომ არ აღმოჩნდეთ, მთავრობის სახლთან არ მიხვიდეთო, რამდენიმე წუთით შევყოვნდით, ნახევარი საათის მერე ჩვენი ტანკის აფეთქების ცნობაც მივიღეთ, დავკარგეთ თედორე ჯანელიძე, თამაზ აბაიშვილი და კიდევ ორი, დანარჩენები ტყვედ წაიყვანეს, თედორეს ნეშტი დღემდე მიუკვლეველია. მერე შევაღწიეთ ბუნკერში, ზვიად გამსახურდიას მოუთხოვია, უღალატო, სანდო ბიჭები შემოვიდნენო, ზვიად ძიძიგურის სიმამრმა შავი ხვრელებით შეგვიყვანა, მოვინახულეთ ჩვენი ბიჭები. მთავრობის სახლში მესამე სართულზე ვიმყოფებოდით ზაზა კაჭახიძე, შმაგი სიხარულიძე, ამირან ხუჭუა და მე. იმდენი ხალხი იცავდა ზვიად გამსახურდიას, ჩვენი ბუნკერში შესვლა საჭირო არ იყო. მომიწია ჩასვლა იმ დროს, ოთხი სოხუმელი დაღუპული პოლიციელი რომ შემოიყვანეს, მათ წინაშე ზვიადმა ქუდი მოიხადა და მუხლი მოიდრიკა. ბესიკ ქუთათელაძეს დავალება მიეცა, სატელევიზიო ანძა დაეცვათ გვარდიის შენაერთებს, ანძა ჩაბარდა ძალიან მალევე და უკვე აზრი არ ჰქონდა ჩვენს ბუნკერში ყოფნას, ალყაში აღმოვჩნდით, დაიწყო მესამე სართულის მასიური დაბომბვა, დაიჭრა შალვა ცინცაძე, ხელი მოტყდა ლომაძეს, რომელიც არ მოგვშორებია, თუმცა, მძიმედ იყო. რომ გვეგონა, გადავიტანეთ ეს დარტყმა, ისევ შემოგვიტიეს, დაგვეჭრა ამირან ხუჭუა, მან კანტუზია მიიღო. იმ საღამოსვე გამოვედით ბუნკერიდან და დავსხედით ავტობუსებში, შეთანხმება იყო, კორიდორს გაგვიყეთებდნენ და გაგვატარებდნენ, მაგრამ, ცეცხლი გაგვიხსნეს, მეტეხის ხიდთან ორმხრივ სროლაში დაგვეღუპა ფხვენისელი შავგოგია, დიდი პატრიოტი. ერთმა იკარუსმა დაკარგა ორიენტაცია, ხიდი გადაკეტა, იმდენი მოვახერხეთ, პოზიციები დავიკავეთ და მანქანების კოლონა სანაპიროზე შეიკრიბა. ჩვენთან მოვიდა ზვიად ძიძიგური და გვითხრა, ბიჭებო, მე გამსახურდიას ვერ მივატოვებ, თქვენ თავს მიხედეთო, ჩვენი ავტობუსი მწყობრიდან იყო გამოსული, როგორც არ უნდა მოგვენდომებინა, პრეზიდენტს უკან ვერ გავყვებოდით, გასაიდუმლოებული იყო ის ავტომანქანაც, სადაც პრეზიდენტი იჯდა. მანქანები სხვადასხვა მიმართულებით გაიშალნენ, ახალი ჩასაფრება რომ არ მომხდარიყო. გეზი ქალაქგარეთ ავიღეთ, დაჭრილებმა ამირან ხუჭუამ და შალვა ცინცაძემ არ მიგვატოვეს და არ გაყვნენ სასწრაფოს, გზაში ამირანი ცუდად გაგვიხდა და უცნობმა ექთანმა შეიფარა... ჩამოვაღწიეთ ამ ოთხმა, ზოგს ფორმა გვეცვა, სისხლიანი ტანსაცმლით ჩვენი გამორენა საზიანო იყო, ბოლოს მე, მალხაზ ბენდელიანი და ბიჭიკო ანთიძე რომელიღაც სოფელში აღმოვჩნდით.

_ უკვე სამტრედიაში იწყება ზვიადის მომხრეების დიდი გოლგოთა...

_ ზვიად ძიძიგური იდევნებოდა, მწყობრიდან უნდოდათ ჩვენი გამოყვანა, აქ გამგეობის შენობაში იყო სამხედრო შტაბი, ყოველ წუთს ველოდით შემოტევას, “მხედრიონს” სრული ძალაუფლება ჰქონდა, მოგვთხოვეს დაგვეტოვებინა სამტრედია, ძიძიგურმა გვირჩია, უომრად დაგვეტოვებინა ქალაქი, რომ მეორე თბილისად არ ქცეულიყო იგი! დროებით ვიშლებით... იატაკქვეშა საიდუმლო შეხვედრებსაც ვაწყობთ.... ზოგი ტყეშია, პირდად მე სამტრედია არ დავტოვე, სახლში ვიყავი, აგრესია ყოფილი ხელისუფლების წევრთა მიმართ თანდათან გაძლიერდა, სამტრედიას ამ დროს ნოდარ ძნელაძე ხელმძღვანელობს, ჩვენ უკვე თამამად ვაწყობდით აქციებს, ხალხის სიყვარული იმხელა იყო, რომ ძნელაძე შეშინდა, სამტრედიის “მხედრიონს” აღარ ენდო და კახეთის “მხედრიონიც” დაიხმარა! კულტურის სახლში ვიკრიბებოდით, დაშლის მერე “მხედრიონელებმა” გზაჯვარედინზე შემამჩნიეს, ჩამტენეს მანქანაში, კახელებს ჩვენებმა მიანიშნეს (ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ), მივხვდი, მანქანიდან გადმოსულები მომსდევდნენ, დამიწყეს ცემა. მიმიყვანეს ბალნეოლოგიურ კურორტზე, სადაც დამიხვდა სასტიკად ნაცემი ავთო ადეიშვილი, ნაცემები იყვნენ ომარ ჯოჯუა, გოგიტა ალფაიძე, ჩხენიშელი ძმები (გვარი არ მახსოვს). მე და ავთო სამი დღე იქ ვიყავით, გავყავდით, ვისაც გაუხარდებოდა, გვკითხავდნენ, გვირტყამდნენ, ავტომატის ჯერს გვიღერებდნენ, ძმაკაცთან ერთად დაგხვრეტთო, მეუბნებოდნენ. მომიტანეს ვითომ მამაჩემის წერილი, მამა მთხოვდა, შვილო, სადა გაქვთ იარაღი, მივაშავებ და თავს დაგანებებენო, ეცანი, წერილი სხვისი იყო. ჩემი გაფორმებული იარაღი კი რახანია მქონდა ჩაბარებული. ცემა-ტყეპა მომაყოლეს, რომ ვუთხარი: მოხუცს თავი დაანებეთ, ნუ ანერვიულებთო, ბნელ ოთახში შემაგდეს, ბეტონზე ეგდო ავთო ადეიშვილი, მივფორთხდი მასთან, ვერ მიპასუხა, ისე იყო ნაცემი, თავი ავუწიე და კალთაში მედო, პერიოდულად გავყავდი, მაიძულებდნენ მიმეცა ინფორმაცია, რომელ ჩემს მეგობარს ჰქონდა იარაღი, არაფერი მითქვამს, ამაზეც დამიმატეს, ავთო ხელში მაკვდებოდა, ავტეხე ყვირილი, უშველეთ ჰაერი ან წყალი მომეცით-თქო. ვანის “მხედრიონი” იდგა გუშაგად და ჩაიდნით წყალი შემომიდგეს. რატომღაც გაგვიყვანეს, ავთოს სამი კაცი მიათრევდა სასადილო ოთახში, იქ იყვნენ ძმები ვაშაკიძეები, ერთერთმა მოიყვანა ექთანი (ავთოს თავი და ბეჭები გაერთიანებული ჰქონდა), შუბლის ძარღვი ბოლომდე არ გაწყვეტოდათ და გვითხრეს, თბილისში გიპირებენ გადაყვანას და არ გაგიშვებთო. მეორე დღეს ჩამათრიეს პირველ სართულზე, დავვარდი ძირს, არავინ მეკარება, ვიღაცამ ბრძანა ავეყენებინე, იგი აღმოჩნდა კახეთის “მხედრიონის” უფროსი გოდერძიშვილი, მიყურებს და ამბობს, ამას ხელის დარტყმა რად უნდაო, ვიფიქრე შევეცოდე-თქო, ხელი კი არა, წიხლები მირტყა, მერე მეუბნებიან: სია გვაქვს, ვის აქვს იარაღი და თუ შემოგვიერთდები, მოხარული ვიქნებითო, უარი ვუთხარი, პოლიტიკურ საქმეებში არ ჩაერევიო, მიბრძანეს და სახლში გამიშვეს. ავთო იმ დღესვე გაუყვანია მეუღლეს, ლალი თადუმაძეს.

_ თქვენ ანაკლიაშიც მოგიწიათ ყოფნამ...

_ ანაკლიაშიც შევიკრიბეთ, აქ მობილიზაცია მოხდა 24-ე ბატალიონის, მანამდე ოჩამჩირეში გადაგვისროლეს ქობალიას ხელმძღვანელობით, ჩვენი პოლკის მეთაური იყო შესანიშნავი პიროვნება, სოსო ჟღენტი, ოჩამჩირიდან მალევე წამოვედით, უკვე აზრი არ ჰქონდა ჩვენს იქ გაჩერებას, დავბანაკდით სოფელ კეთილაურში, სადაც შეგვატყობინეს, რომ სამშობლოში იყო დაბრუნებული ზვიად გამსახურდია. მერე შემოვედით სამტრედიაში ნაწილი ხონის, ნაწილი კი ხუნჯულაურის მხრიდან. ერთადერთი ბეტეერი გვყავდა, ისევ ძმათა შორის ღალატმა იჩინა თავი და დავმარცხდით. სულიკო ალფაიძე მოგვიკლეს, წინა დღით, ხონი რომ დავიკავეთ, ჩვენები ტყვედ ჩაიგდეს, სულიკომ უთხრა, მეთაური ვარ, გაათავისუფლეთ ბიჭებიო და იქვე ჩაცხრილეს, მოგვიანებით ის ბიჭები გადავცვალეთ... ამის შემდეგ კარგა ხანს მაწუხებდა პოლიციაც და “მხედრიონიც”, თბილისში ვიმყოფებოდი დასთან, ვერიდებოდი ქუჩაში გასვლას.

_ მშვიდობიანი პერიოდი როდის დაგიდგათ?

_ 2003 წელს გამგებელ ავთო სტურუას მძღოლად ვმუშაობდი, მერე გამგებელ კახა ვაშაკიძის მძღოლად. 2007 წელს საკონტრაქტო სამსახური დავიწყე და 2008 წლის აგვისტოს ომში ვმონაწილეობდი, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ასეულის ასმეთაურის მძღოლი ვიყავი. ოთხი ომი გამოვიარე და ღვთის ნებით, გადავრჩი, ვარ შინდისის ეპიზოდის მონაწილე, ჩემს თვალწინ აიფეთქა თავი ალექსანდრე ონიანმა, ვაჟკაცმა არ იკადრა ტყვედ ჩავარდნა, ამ აფეთქებით თანამებრძოლები გადაარჩინა, რუსებმა იფიქრეს, ყველანი დაიხოცნენო და შეყოვნდნენ...

ჯემალ ტაბიძე - 60

იუბილარი მხატვარი იუბილეს გარეშე, და საერთოდ... ჯემალ ტაბიძის გარეშე, მისი ნახატებისა და ლექსების გარემოცვაში, იმ სამყაროსთან ჰარმონიაში, რომელსაც უნდა "უსასრულოდ მოჰყვე ბოლომდე".
"ჩემზე, ანუ დაულაქავი თეთრი სიზმრები" ტილოზე გადატანილი სულიერების გაცხადებაა. წერილი წლების წინ დაიწერა და მასში ავტორი საკუთარ – ჯემალ ტაბიძის – შემოქმედებით პროფილს ყველაზე უკეთ თვითონ ქმნის, რადგან "მე ვარ გეოგრაფიულად და არა ოდენ გეოგრაფიულად ყველაზე ახლო მდგომი".
აქვე "უდასასრულო გზაზე შემდგარი" პოეტის ლექსებსაც შევთავაზებთ მკითხველს.

ჩემზე, ანუ დაულაქავი თეთრი სიზმრები

ჩემი მხატვრობის შესახებ ჯერ არავის არაფერი დაუწერია და რომ დაეწერათ კიდეც, ან თუ მომავალში დაიწეროს და რამდენადმე სერიოზულადაც, ჩემს ნაზრევს (ჩემს შემოქმედებაზე) მაინც ექნება არსებითი მნიშვნელი, რადგან მე ვარ გეოგრაფიულად და არა ოდენ გეოგრაფიულად ყველაზე ახლო მდგომი.

გენეტიკური ექსკურსი: გვარი, ფესვი, სათავენი სისხლის მდინარის, მხოლოდ ჩემთვის გაცხადებული საიდუმლოთი. მამა-პაპათა ძარღვში გამთბარი, გამკაცრებული, მოქუფრული, თითქოს მინდობილი წუთისოფლის დუნე დინებას, მაგრამ ყოველ წამს მზად რომ არის ასაფეთქებლად. მეამბოხე დაუდგრომელი, სისხლი დაღვრილი, ნატყვიარის ირგვლივ ბზარები კარზე მომდგარი მოღალატე, სისხლი აბელის.

უცნაურია იყო ტაბიძე და ამ უცნაურობაში კიდევ ერთი უცნაურობაა, იყო უტყვი, ვისგანაც თავისივე სულიერების თუ ცნობიერების ეკრანზე წარმოქმნილი სიტყვები კი არ მოედინებიან, არამედ თავის არსშივე ჩაბრუნებულნი იშიფრებიან და ვლინდებიან სხვაგვარ ნაკადში, არა სიტყვაში, რომელიც წარმოითქმის, არამედ ამ სიტყვის არსში მდებარე ყოფიერების ცხოველ ნახატში.

აქ საგნები ფოტოგრაფიულ წესრიგს კი არ ემორჩილებიან, არამედ განუსაზღვრელ დროში მიმდებარე პროცესების ფიქსაციის სულში გადახარშულ და შინაგან რეალობად ქცეულ ან თავად სულის უსასრულო წარსულიდან თანმოყოლილ ბატალიების მატერიალიზების ექსპერიმენტს წარმოადგენს.

დრო მარადისი, არრა მიჯნა, არრა ზღუდე, არრა სამანი. წარსული, აწმყო, მომავალი ერთ მთლიანობად გარდაქმნილი, როგორც არსი მარადიული ეპოქებით დამძიმებული, მტვერდადებული სფინქსისა თუ ჩემი უახლესი ჭრილობით მოგვრილი ტკივილების იდენტურობა (ჩემში მცხოვრები უკვდავი სულის გეოლოგია გავაცოცხლე და გავაღვიძე. ოდესღაც რომ სკვითი ვიყავი, დღესაც ცოცხლობს ჩემში ის სკვითი. სამყაროს ერთიან ცოცხალ ქსოვილში არაფერი არ იკარგება. აქ მარადი არის გარდაქმნა, გარდასახვა მიდის უწყვეტი. ჩემს სხეულზე უკვე ფესვი გაიდგა იმ ხემ, ჩემზევე რომ აღმოცენდება, ან აღმოცენდა უკვე ის ხე შიგნით ჩემს სულში, ან უფრო სწორად ორივე ერთად აღმოცენდით არარსებულ ჟამთასვლის მიღმა...)

და კიდევ სახე, სახე უფლისა, სახე ქალწულის. სახე, რომელიც წამიკითხავს ანდა მინახავს, ანდა მასზე მომისმენია, ან უფრო სწორად ჩემი სულის თვალს მოუხილავს უსასრულო სივრცის წიაღში ნატეხ-ნატეხ და მარცვალ-მარცვალ მიგროვებია.

ყოველ სიკეთეს, ყოველ ტკივილს, სისხლისა და ცრემლის ყოველ წვეთს უპოვია თვისი ადგილი და ჩამოქნილა ერთ მთლიანობად, რომელსაც ჰქვია დაულაქავი თეთრი სიზმრები - გადარჩენის ღირსი ნაყოფი...

ხოლო საგნები, მოტორტმანე როგორც გოდოლი, თანდაყოლილი ჩამოქცევა რომ გაუცხადდა არსში და ღელავს უკანასკნელ ღელვით გოდოლის. იქცევა იგი მტვრად და მიწად, რომ სიმშვიდეში დავანებით იპოვოს ძალი, რათა აღსდგეს ისევ მკვდრეთიდან და ზეცის თაღს ბურჯად შეედგას, რომ ერთხელ კიდევ დატკბეს თავის მშვენიერებით.

ბედისწერის რუხი ხაზები, წმინდა მცენარეს ამოზრდია ლორთქო ყლორტები და მიუყვება თავის თავში უსასრულო ბილიკს მგზავრი დაღლილი. თითქოს ახლოა დიდ მიზანთან, გადალახა ზღვარი საშიში. და უამრავს კვლავ ამწიფებს ნაყოფს საშოში უხილავი ხელი-მთესველი. და კიბეები მაღლდებიან ზეცის ლაჟვარდში და გალობს, გალობს, მგალობელი შავი ფრინველი.

გაორებულებს, გაქცეულებს, გადარჩენილებს, სევდიანებსა და გადაღლილებს უცისკროვნებს სახეს იმედი. მათ შეძლეს, შეენახათ სული კეთილი, გულწრფელობა პირველყოფილი. რარიგ ძნელი იყო გაძლება, როცა ყოველი მორჩილებდა ნგრევას უაღრესს. აჰა ლტოლვილი, ებზარება ფეხქვეშ ბილიკი, ერთი ნაბიჯით თუ აშორებს ზაფრას უფსკრულის. მოაქვს ფუთებში გამოკრული საიდუმლო მშვენიერების და საშოდან ჩანს უამრავი ბედის ვარსკვლავი. იგი ორსული, გაქცეული და მარტოსული მიისწრაფის, რათა წარიღოს, გააცალოს ორგიას ნგრევის, რომ მერე ისევ ააყვავოს ხოდაბუნები. იგი - დედა დედაბუნების. წმინდა მარცვალი ათასფერი იელვებს კვლავაც. ერთ მარცვალში დატეულა მთელი სამყარო. მარადიული განახლების წმინდა მარცვალი.

ცრემლის გორგალი, სისხლის წვეთი, ორომტრიალი, მარადიული საზრუნავი გარშემოკრული. როგორ ხარხარებს ლუციფერი სისხლით მაძღარი და ქუჩებს მარშით როგორ უვლის სატანა კრული. ლოცვა და წყევა, არეული შავი და თეთრი. ბაგე გამტყდარი გაბზარული ძვალი ლავიწის. იმედი ცივი, შემზარავი შიში და იჭვი. ათასჯერ მომკლეს, მაგრამ ათასჯერ ვიშვი. ვცადე ამეხსნა, განმემარტა და განმეხილა, მაგრამ ბლავვია, სიტყვა პირველყოფილ საიდუმლოს როცა ეხები, აქ სათქმელს მხოლოდ არარსებული სიტყვები თუ გამოხატავენ არარსებულ ანბანთმავლობით. მო, მოიხილე ეს სამყარო ისე, როგორც მე, შეეცადე გალხვე და გადნე, რომ შეუერთდე უნაპირო დინებას ხაზთა, მოჰყვე ბოლომდე, უსასრულოდ მოჰყვე ბოლომდე.

ჯემალ ტაბიძე
1995 წ.
თბილისი

***

თანდათან ვცვდები შენს მოლოდინში,
მიახლოვდება სუნთქვა საშიში,
გადაწყდა, რაღაც უნდა შევცვალო,
გამოვაცხადებ, თითქოს გავგიჟდი.
გამოვაცხადებ, თითქოს გავგიჟდი,
სტვენით დავივლი მტვრიან შარაგზებს
და თუკი ვინმე ხმიადს გამიყოფს,
გავუნაწილებ ქუჩის ნაგაზებს.
შემოხეული ტანისამოსით,
წვერმოშვებული და ნირშეცვლილი,
უდასასრულო გზაზე შემდგარი
ვიქნები მართლა, როგორც შეშლილი.
თან გავიყოლებ ლერწამის ღეროს,
ჩემს სულთან შეზრდილ ერთადერთ დობილს.
და ასე მწარედ აღარ ვიტირებ
მთვარის ოვალზე მოხაზულ პროფილს.

1983 წელი,
სოხუმი

***

ჩვენს სულშიც ჩადგება აგვისტოს ცხელი დღე,
დააზრობს ყინულს და წყურვილით აგვავსებს,
და შენი პატარა გამხდარი თითები
ფერადი ფანქრებით ზღვას გაალამაზებს.
ო, მერე კი ისევ დადგება ზამთარი,
დღეები დალბება წვიმების კაეშნით,
მოსწყდება სინანულს ფოთოლი დამჭკნარი,
არ უნდა გამეშვი, არ უნდა გაგეშვი.

1982 წელი,
თბილისი

ნ-ს

იწყო საღამომ შებინდება, გრძნობ მზეს ჩამავალს.
მთათა სილურჯეს გადაჰკვრია რუხი ნისლები,
მოვა პოეტი, წაგიკითხავს ლექსებს დანამულს,
კვლავ დაბადების ყვავილივით გადაიხსნები.
შავ-თეთრ კლავიშებს აათრთოლებს მკრთალი თითები,
ჩნდება მოწყენა, მონატრება, სურვილი ფრენის,
ალბათ, აქამდე გადამჩეხდა შლეგი ცხოვრება,
შენი მუსიკა, მუსიკა და ღიმილი მშველის.

1995 წელი

აგვისტო

წუხელ შემოდგომას არ უძინია,
ზაფხულის კითხვას დიდხანს ანდომებს...
რომ გადახაზა ზოგი ყვავილი,
უთუოდ ახალ ლექსებს ასწორებს.

***

შენი ღიმილი თითქოს სააკვნედ
დღეებს გამითლის მზისგან საამურს...
და ასე ტკბილი შობის მუსიკა
ზაფხულს ჩააცმევს ტანზე სალამურს...

ლექსი

ასე რომ აღაფრთოვანა,
გულიც რომ ღამეს ვერ მითევს.
ლექსი ცრემლების ცრემლია
ზღვა წიგნებიც რომ ვერ იტევს...

***

შენ მიგახატე კედელზე ჩუმად,
რომ აღარსად არ გამქცეოდი,
მაგრამ უეცრად და ფეხაკრეფით
ნახატიდან ნახატში გამექეცი...

***

წვიმის წარბები მოიქნია ცისარტყელად,
თვალებში აღებეჭდეთ შენ და ზღვა,
აი, როგორი ამინდია დღეს,
მოფერებული ქალების ლოყებით
იღვიძებს ცა...
წვიმის წარბები მოიქნია ცისარტყელად...

***

მიწას დაეცა დიდი პოეტი,
ლექსით ორსული, ცაში მცხოვრები.
და სისხლის ნაცვლად გადმოუვიდა
დაუწერელი სტრიქონების
ემბრიონები...

***

ჩემს გაწითლებულ თვალებში,
წითელი ხაზები რომ დამჩნევია,
იქნებ, ეს ჩვენი დაშორების
გზებს მაჩვენებს ახლოდან?!

***

შენი მონატრების შიმშილით
თვალებზე ცრემლების ნერწყვი მომდგომია...

***

ფუტკარმა რომ დაჩხვლიტა
ყვავილი,
ალბათ, სიყვარულის ანალიზი აუღო.
პასუხი მალე იქნება...

***

კი არ გათენდა,
შენ გაიღვიძე...

***

შენ წახვედი და თვალს მიეფარე
და შენი ჩრდილი კიდევ დიდხანს
მეხვია ყელზე...

***

წითელი ვარდი ბაღში რომ რგია,
ისე გარბის, რომ ვერ გავაყოლე ვერაფრით თვალი.
ვეღარ ვუშველე, ვეღარ ვუშველე, ვეღარ ვუშველე,

რომ ჩამოიხრჩო უეცრად თავი.
წითელი ვარდი
წითელი
წითელი
წითელი...

***

ტყვია ესროლეს ახალგაზრდას
და წინ გარდაცვლილი მამის ჩრდილი გადაეფარა
და დაინახა, როგორ მოუკვდა მას მამის ჩრდილი...

***

მზეს რომ მიჩრდილავს ერთი ღრუბელი,
იქნებ, ის არის, დედაჩემმა რომ
ჩემზე დარდით ამოისუნთქა...

***

არ გინდა ხევსურეთის მთაზე იცხოვრო?
ქვევიდან რომ ასე უცქერი.
დილით ადრე რომ დაინახავ,
შენს ბალღს სიარულს როგორ ასწავლის
მთაზე ღრუბელი?..

ირმა ლილეშვილი

ჩემი უნივერსიტეტი

“ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲭᲐᲠᲑᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲡᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ”

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲐᲑᲔᲩᲐᲕᲐ

რუბრიკა გრძელდება. საქართველოს საუკუნოვანი ისტორიის დედა უნივერსიტეტში გატარებულ წლებს სიამოვნებით იხსენებენ ცოდნის ამ ტაძარში ნაწრთობი, უკვე ღვაწლმოსილი და ცნობილი ადამიანები. არსებობიდან დღემდე 300 000-ზე მეტი სპეციალისტი მისცა უნივერსიტეტმა ქვეყანას.

მრავლად არიან საქართველოში ოჯახები, მთელი ცხოვრება რომ არ განელებიათ პატივი და სიყვარული დედა უნივერსიტეტისადმი. ერთ-ერთი ასეთი ოჯახის წარმომადგენელი სტუმრობს დღეს “სამტრედიის მაცნეს”.

უნივერსიტეტის წლებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია იხსენებს.

“დაბა კულაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მერგო პატივი გავმხდარიყავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი. უნივერსიტეტის რექტორი ბატონი დავით ჩხიკვიშვილი გახლდათ. ფაკულტეტზე თითქმის თანაბარი რაოდენობით სწავლობდნენ გოგონები და ვაჟები. იმხანად უნივერსიტეტში არაერთი საქვეყნოდ ცნობილი, აღიარებული პიროვნება მოღვაწეობდა. ლექციებს გვიკითხავდნენ პროფესორები: გიორგი ალექსანდრია (მათემატიკური ფიზიკის ანალიზს), ელიზბარ წითლანაძე (უმაღლეს მათემატიკას), ოთარ ნაფეტვარიძე და სხვები. განსაკუთრებით მინდა ბატონი ელიზბარის შესახებ ვთქვა. არაჩვეულებრივი ადამიანი, შესანიშნავი ორატორი, სულგანაბულები ვისმენდით მის ლექციებს.

ბატონი ელიზბარის ლექციათა ჩანაწერებს დღემდე სათუთად ვინახავ. მინდა გითხრათ, როცა უნივერსიტეტი დავამთავრე (მაქვს მასწავლებლის კვალიფიკაცია) და სკოლაში პედაგოგად დავიწყე მუშაობა, ვცდილობდი, ბატონი ელიზბარისეული სტილი დამენერგა

ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში. ბევრი საინტერესო ეპიზოდი მაკავშირებს უნივერსიტეტთან, რომლებიც წლების სვლასთან ერთად არათუ ფერმკრთალდება, პირიქით, მეტ სიამოვნებას მგვრის მათი მოგონება.

ჩვენი თაობის სტუდენტებში დიდი იყო სიყვარული და პატივისცემა უნივერსიტეტისადმი, ყველას გვქონდა შეგნებული ის უდიდესი მოვალეობა, რასაც უნივერსიტეტის სტუდენტობა გვაკისრებდა.

უნივერსიტეტს სამხედრო კათედრა ჰქონდა და ვაჟი სტუდენტები სამხედრო სწავლებას გავდიოდით. დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ვართ, სამთვიან სამხედრო შეკრებაზე საქართველოს გარეთ წაგვიყვანეს. საოცრად მოგვენატრა ოჯახები, თბილისი, უნივერსიტეტი. სამხედრო ხელმძღვანელებს ერთი დღით თავისუფლება ვთხოვეთ. თბილისში, უნივერსიტეტში მივედით, ძელსკამებზე ჩამოვსხედით, ეზოში გავიარეთ, ერთი სიტყვით, უნივერსიტეტს მოვესიყვარულეთ და მეორე დღეს, პირობისამებრ, დანიშნულების ადგილზე ჩავედით. ამას არავინ გვავალებდა, გარდა შინაგანი, უნივერსიტეტისადმი უფაქიზესი გრძნობისა. თავს ბედნიერად ვრაცხ, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული რომ მქვია. ბუნებრივია, თვალს ვადევნებ უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს. მივესალმები დემოკრატიას, მხოლოდ ეთიკის ჩარჩოებში. რაც უნდა იყოს, უნივერსიტეტი, რომელიც მისი დამაარსებლის, დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს, იყო, არის და იქნება ჩვენი ერის, სამშობლოს სინდისი, ღირსება, სადაც კვლავ აღიზრდებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებმაც ჩვენი მომავალი უნდა აშენონ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საქართველოს დედა უნივერსიტეტის საუკუნოვანი იუბილე მივულოცო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, მთელ ერს. განსაკუთრებული პატივით მივულოცავდი იმ ახალგაზრდებს, რომლებიც წელს გახდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

გმადლობთ, რომ მომეცით საშუალება, მესაუბრა ჩემი ცხოვრების უმშვენიერეს წლებზე”.

ასე იხსენებს უნივერსიტეტის წლებს ბატონი ნუგზარ ჯამბურია. კაცი, რომელიც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში პედაგოგად თუ დირექტორად მუშაობისას და შემდეგ ეტაპებზე სრულად ახდენს მიღებული ცოდნის რეალიზებას.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ჯამბურიების ოჯახში უნივერსიტეტელთა რამდენიმე თაობაა. თავად ჩვენი რესპონდენტის მამა, ბატონი აკაკი ჯამბურია, იმ თაობის სტუდენტთა შორის იყო, რომელთაც ლექციებს ლეგენდარული აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე და სხვა კორიფეები უკითხავდნენ. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია ბატონი ნუგზარის და, ქალბატონი ლელა ჯამბურია, მეუღლე, ქალბატონი ნანა ივანიშვილი და ა. შ. ამბობენ კიდეც ხატოვნად - ჯამბურიების ოჯახი თავად უნივერსიტეტიაო.

მადლობას ვუხდით ბატონ ნუგზარს საინტერესო საუბრისათვის და ვუერთდებით მის მილოცვას იმ ახალგაზრდებისადმი, წელს რომ გახდნენ დედა უნივერსიტეტის სტუდენტები.

ᲑᲔᲑᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲣᲑᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲘ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲐᲑᲔᲩᲐᲕᲐ

ლაშაზი სოფელია ვორმაღალი. გურული კრიმანჭულივით მიიკლაკნება სოფლისაკენ მიმავალი გზა. ზაფხულის ხვატში აქ ნამდვილი სამოთხეა. მაღალი მთებიდან მონაბერი ვრილი ნიავი სიცოცხლის ძალასა და ხალისს გმატებს კაცს. მეგობრობაც იციან ვორმაღლელებმა და მტერ-მოყვრის ცნობაც. პრობლემებიც ჩვეულებრივ აქვთ, თუმცა, ამჯერად სულ სხვა თემაზე, ერთ ჩვენს ძველ, ერთგულ მეგობარზე გვსურს ორიოდე სიტყვა ვთქვათ.

მეოთხედი საუკუნის წინ პირველად შევხვდი. ყურადსაღები სტრიქონების ავტორიაო, მითხრა მაშინ ბატონმა კორნელი ჩიხლაძემ - ჩვენმა უფროსმა კოლეგამ. სწორედ მისი მეშვეობით გავიცანი ბატონი ანზორ გეგუჩაძე, მკითხველისათვის კარგად ცნობილი ანზორ ზმანება ან, უბრალოდ, ზმანება.

არცთუ იშვიათად შემოგვივლის რედაქციაში მაღალი, ხმელი, მხრებზე თეთრთმბდაფენილი პოეტი და თბილ სალამს მოგვაგებებს. ჩვენც, მის ძველ ნაცნობებს გვახარებს მასთან ყოველი შეხვედრა.

საოცრად უბრალოა, მშვიდი მოსაუბრე, უყვარს ბუნება, საკუთარი ქვეყანა. - ჩემი ბებერი სახლი, რომელიც 300 წელზე მეტი ხნისაა, ჩემი მყუდრო ნავსაყუდელიაო, მითხრა ამას წინათ.

ცხოვრებამ სად არ ატარა. მრავალშვილიან მშობლებს ნაბოლარა ძალიან გვიან გაუჩნდათ. დედა ჭკუასელის ქალი იყო, მის გახსენებაზე თვალები ახლაც ცრემლით ევსება.

პროფესიით მხატვარია ბატონი ანზორი, განათლება რუსეთში აქვს მიღებული. მხატვარ კოგანის კლასში ვსწავლობდიო, იცის თქმა. ხატვითაც ხატავს, მაგრამ მათი პოპულარიზაციისაგან თავს იკავებს რატომღაც.

ლექსებს კი, ლექსებს წერს. ვიქნები პირდაპირი და ვიტყვი, თავიდან მეც მათ შორის ვიყავი, ვინც გაოცებას აშკარად გამოხატავდა ანზორ გეგუჩაძის წერის სტილის გამო, მაგრამ რაც უფრო ჩავწვდი მის სულს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთმანეთს გავუგეთ - შენ ჩემში შემოდიო, მეტყვის, როცა მის ნაზრევს უპრობლემოდ აღვიქვამ.

საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს. ვიცოდი, იუბილარი რომაა, წერილს გავაკეთებ-მეთქი და იუარა. მე მაინც ვეცდები, თუკი არაფერს მეტყვი-მეთქი. სურათზე კი, სურათზე, რომ იტყვიან, ქვა ააგდო, თავი შეუშვირა. რა საჭიროა გაზეთში ჩემი სურათიო.

რამდენიმე წიგნის, პოეტური კრებულის ავტორია ანზორ გეგუჩაძე, მწერალთა კავშირშიც უპრობლემოდ გააწევრიანეს ქართველმა მწერლებმა და ტელეფონითაც ხშირად ეხმიანებიან ტკბილ-მწარე მოგონებებთან და რეალობასთან შეჭიდებულ, თუმცა ჯიუტად ოპტიმისტ ჩვენს მეგობარს.

იუბილარია ბატონი ანზორი.

გულითადად, დიდი პატივისცემითა და მეგობრული სიყვარულით ვულოცავთ მას. გულწრფელადვე გავიხარებთ, კიდევ იმდენ ხანს თუ იმეგობრებს ჩვენს გაზეთთან, ჩვენთან, რამდენი წელიც ჩამოიმარცვლა დროის კრიალოსანზე მისი დაბადებიდან დღემდე.

დგას გორმაღალში ქარ-ცეცხლში გამოვლილი მრავალი ღირსეული მამულიშვილის გამზრდელი “ბებერი სახლი”, გეგუჩაძეთა უძველესი, ჩაუმქრალი კერა ანთია შიგ, სადაც მარტოობას, ზაფხულის ხვატს, ზამთრის სუსხს, საწუთროს მანკიერებებს გმირულად ებრძვის ჩვენი ანზორი, ანზორ გეგუჩაძე (ზმანება). ახლებური სიცოცხლე მიუნიჭებია “ბებერი სახლისათვის” უბერებელ, სულით სპეტაკ და მარად ახალგაზრდა მასპინძელს.

...

იდღეგრძელე, ჩვენო ანზორ!

საგანმანათლებლო რესურსცენტრი მწუხარებით თანაუგრძნობს ხათუნა თელიასა და მამუკა ნიშნიანიძეს შვილის,

გიორგის

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის პირველი საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაუგრძნობს მეთორმეტე საჯარო სკოლის დირექტორს, ხათუნა თელიას, შვილის

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალების გამო.

საზოგადოება "სამტრედიელი" თანაუგრძნობს საზოგადოების თავმჯდომარეს, ტატა გოგუაძეს,

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალების გამო.

თეა ბაბუნაშვილი და ჯუბა პაპავა თანაუგრძნობენ ქალბატონ ხათუნა თელიას ვაჟის,

გიორგის

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი და ვაჟა ტერელაძე თანაუგრძნობენ ნიშნიანიძეების ოჯახს

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალების გამო.

ნინო ნანიტაშვილი და ბადრი ვაშაკიძე ოჯახით თანაუგრძნობენ ხათუნა თელიას, მამუკა და ნანა ნიშნიანიძეებს უსაყვარლესი შვილისა და ძმისშვილის,

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალების გამო.

დოდო ბოლქვაძე ოჯახით დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობს ხათუნა თელიასა და მამუკა ნიშნიანიძეს შვილის,

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალების გამო.

ნინო შენგელია და მარი კაკუშაძე, მერაბ და გიორგი ლორიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ხათუნა თელიას, მამუკა და ნანა ნიშნიანიძეებს უსაყვარლესი შვილისა და ძმისშვილის გარდაცვალების გამო.

მამუკა, ნინო, თამარ გრიგოლიები, ნონა ქიმუცაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ხათუნა თელიას, მამუკა და ნანა ნიშნიანიძეებს უსაყვარლესი შვილისა და ძმისშვილის გარდაცვალების გამო.

მაკა ქუთათელაძე და კახა ცინაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ხათუნა თელიას, მამუკა და ნანა ნიშნიანიძეებს უსაყვარლესი შვილისა და ძმისშვილის გარდაცვალების გამო.

ნანა ჩომახიძე და იურა თოდუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ხათუნა თელიას, მამუკა და ნანა ნიშნიანიძეებს უსაყვარლესი შვილისა და ძმისშვილის გარდაცვალების გამო.

ნინო ონიანი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ხათუნა თელიას, მამუკა და ნანა ნიშნიანიძეებს უსაყვარლესი შვილისა და ძმისშვილის გარდაცვალების გამო.

გოგი შენგელია და როგნედა ნადარეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ხათუნა თელიას, მამუკა და ნანა ნიშნიანიძეებს უსაყვარლესი შვილისა და ძმისშვილის გარდაცვალების გამო.

გიორგი ნიშნიანიძე

გიორგი, ჩვენს ხელში დაფრთიანებულო, ჩვენო ღიმილიანო, სიყვარულისა და სიკეთისათვის გაჩენილო ვაჟკაცო!

სად ვნახოთ სიტყვები იმ ტკივილის გადმოსაცემად, დღეს რომ შენი გამზრდელი სკოლა განიცდის...

რა ნუგეში შეიძლება ადამიანმა უთხრას ჩვენს ხათუნას, მუდამ სხვის მხარში მდგომს, მადლის მთესველსა და უანგარო შენს ლამაზ დედიკოს...

როგორ გავამხნევოთ ჩვენი ალალი და უბოროტო, ერთ დღეში დაბერებული ჩვენი მამუკა...

შენი გამორჩეული ღირსებებით ღვთის საჩუქარი იყავი არა მარტო შენი ოჯახისათვის, არამედ ყველასთვის - ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის, ნაცნობებისთვისაც და უცნობებისთვის... როგორ სჭირდება დღეს საქართველოს შენისთანა შვილები...

შენს ძარღვებში სისხლთან ერთად მიმოდიოდა სითბო, სიყვარული, სიკეთე... რა ცოტა ხანი იცხოვრე და რამდენი სიყვარული მოაგროვე, ჩვენო ვაჟკაცო, მეგობრებისათვის სიყვარულით ფეფე იყავი, ჩვენთვის გიო, გიორგი... მუდამ თბილი, გულწრფელი ღიმილით რომ გვეგებებოდი...

შენთვის ყველა ნაცნობი იყო, როცა ხედავდი, რომ ვიღაცას ხელის შეშველება სჭირდებოდა... შენ ის ბიჭი იყავი, გულგრილად რომ ვერ ჩაუვლიდა ადამიანს. მძიმე ტვირთით მიმავალს, მიირბენდი მიეშველებოდი...

ჩვენო ნიჭიერო, მიზანსწრაფულო ბიჭო... წინ ძალიან საინტერესო, შინაარსიანი და ლამაზი ცხოვრება გელოდა. უკვე პირველ ნაბიჯებსაც დგამდი. 23 წლის ბიჭს დიდი და სერიოზული საქმე გებარა. იქაც ყველას გული მოინადირე შენი ნიჭიერებით, საქმის ერთგულებით, პასუხისმგებლობით. როგორ დაიმსხვრა ყველაფერი და როგორ დაიფერფლა...

გემშვიდობებით, ჩვენო ღიმილიანო, საამაყო, ერთგულო და გულიანო ბიჭო, უფალს ებარებოდე...

მე-12 საჯარო სკოლა სამძიმარს უცხადებს ხათუნა თელიასა და მამუკა ნიშნიანიძის ოჯახს შვილის, გიორგის, გარდაცვალების გამო.

---

†

ეს იყო თვალებში ჩამდგარი გაზაფხულის გარდაცვალება, სიკვდილის მეხად დაცემული და სისხლგაყინული. აღარ არსებობს სიტყვები ნუგეშად! აღარსადაა ხსნა, უძლურების არტახით შეკრული. მზესავით ლამაზმა ბიჭმა დედამიწა გააჩერა და... ჩავიდა, ხალასი სული შეერია მარადისობას!

ხათუნა ფაილაძე და იური კიკაჩეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ხათუნა თელიასა და მამუკა ნიშნიანიძის ოჯახს.

ჩვენო ფეფე!

ფეფე - რჩეულთა შორის რჩეული, დაუდეგარო და ღიმილიანო! ბიჭო, გიორგი, სად გაგვექეცი? სად მოინდომე გადაქროლება... წვიმის წვეთი იყავ და ზღვად მოინდომე გადაქცევა... ზღვიერი ცრემლი დაგვადინე - უცნაური სიკვდილი საცნაური გაგვიხადე. დაგვამუნჯე და დაგვადუმე... თავზე ცა წაუქციე შენებს... იმედი გამოაცალე. დღე დაუღამე. ბნელით შეღებე შენი სახლის კედლები, ერთ ღამეში დააბერე დედამამა! შენს ქუჩაზე ხეებიც კი ჩურჩულებენ, ფეფე გვენატრებაო, ტირიან ბიჭები ხმით, გოდებენ! გეუცნაურა? ალბათ, არა, შენ ეს დაიმსახურე... სიხარულის მომნიჭებელმა ყველას ტკივილი დაგვიტოვე. რამდენი ჩანაფიქრი დატოვე აუსრულებელი...

მეორედ მოინდომე დაბადება, დაიბადე კიდეც ღამის ზღვის ტალღებში... ალბათ, მთვარეს გაუღიმე. წახვედი და წაიყოლე ბევრი ნატვრა, ახდენილი და აუხდენელი... იცი, აქ რა ხდება? აქ უშენობა ხდება, უგიორგობა. რა ძნელი და სასტიკია სიკვდილთან შეგუება. არადა, დღეს ყველგან მზეა და სილამაზე სიკვდილთან შენი შემრიგებელი...

რატომ, ფეფე, რატომ? რატომ იქეცი ქარად, რატომ მოინდომე გადაქროლება?!

განსხვავებულო ფეფე, არ გემშვიდობებით! გეფერებით, გულში გიკრავთ, იცოდე ყველას თვალებში ცრემლია და გულში შენი მონატრება, მონატრება, რომელსაც ჩვენ გიორგი ნიშნიანიძე დავარქვით უკვე!

ერთი რამ გვინდა იცოდე, ფეფე! სევდა ხარ ჩვენი, გაუქრობი ცრემლი თვალებში და მუსიკა ქარში... შენ სხივი ხარ გამოუცნობი და აუხსნელი, შორეული და ახლობელი... ჩვენი ფეფე - ჩვენი ტკივილი და დიდი სიხარული!

უახლოესი მეგობრები

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს

გიორგი ნიშნიანიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ციცინო ნოზაძე

"მე ლამაზი მეგობარი მყავდა..." - რა ცუდია, რომ გვყავდა და აღარ გვყავს. ღვთისმშობლის მიძინების დღეს მიიბარა უფალმა შენი სპეტაკი, ლამაზი სული, ჩვენო ციცინო. ზეციურ საქართველოს კიდევ ერთი ღირსეული ქალბატონი შეემატა შენი სახით. ძალიან ბევრი ფიზიკური ტკივილის ატანის შემდეგ იქ განისვენებ, სადაც მართალნი განისვენებენ... ციცი, ჩვენო კეთილო მეგობარო, ძალიან გვტკივა უშენოდ დარჩენა. ვიცით, წლების მერე უფრო გვეტკინება, მაგრამ მადლობას გეუბნებით იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რაც ყველა ჩვენგანს გვაჩუქე. შენ სიკეთის დიდი სამყარო იყავი და ჩაქრი ტკივილითა და დარდით. შენგან დათესილ სიკეთეს შენი ლამაზი ეთო მოიმკის და გაგახარებს ზეციურ საქართველოში. ქალაქის №1 საჯარო სკოლა ცრემლებით ემშვიდობება სკოლის დაუზარელ, ერთგულ, პროფესიონალ და კეთილშობილ პედაგოგს, ციცინო ნოზაძეს. უზომოდ გვტკივა და გვენანება. უფალს ებარებოდეს შენი ლამაზი სული, ჩვენო ციცი, ძნელია შეეგუოგდეთ უშენობას... მოგიხსენოს უფალმა და ნათელგყოს! მშვიდობით ჩვენო ერთგულო მეგობარო!

სამტრედიის №1 საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი

პირველი საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაუგრძნობს ციური ხურცილავას დედამთილის, ქალბატონი

ციცინოს

გარდაცვალების გამო.

---

†

ჭეშმარიტი პედაგოგი, ადამიანი, რომელმაც მრავალი თაობა აღზარდა, თბილი და უსაყვარლესი პიროვნება, კარგი მეუღლე, დედა... დაბოლოს, ულამაზესი ქალბატონი აღარ არის. მშვიდად განისვენე, ციცინო მასწავლებელო! თაობები არ დაგივიწყებთ თქვენს დიდ სიყვარულსა და ამაგს, რომელსაც უანგაროდ გასცემდით.

№1 საშუალო სკოლის 2009 წლის კურსდამთავრებულები

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ ლამარა დუნდუას მეუღლის, ბატონი

აკაკი (კაკო) ნინუას

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ ლამარა დუნდუას მეუღლის,

აკაკი (კაკო) ნინუას

გარდაცვალების გამო.

ლევან გაბეჩავა ოჯახით თანაუგრძნობს ქალბატონ ლამარა დუნდუას მეუღლის, ბატონი

აკაკი ნინუას

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი და ვაჟა ტერელაძე თანაუგრძნობენ ქალბატონ ლამარა დუნდუას მეუღლის, ბატონი

აკაკი ნინუას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ ნინო ნინუას დედის,

ნანა სტურუას

გარდაცვალების გამო.

"უხვად გავსცემდით, ვავსებდით, სიძუნწე უმეცრულია"

გენიალურ რუსთველს თითქოს დავით სარაჯიშვილისათვის დაეწეროს ეს სიტყვები.

"დავით სარაჯიშვილმა (1848-1911 წ.წ.) მთელი თავისი ქონება ხალხს დაუტოვა და უანდერძა მუზეუმებისა და თეატრების, სკოლებისა და საკითხველოების ასაშენებლად და გასახსნელად, ძველი სიგელ-გუჯრებისა და ხელნაწერების შესაძენად, ხელოვნების ნიჭიერ მოღვაწეთა დასახმარებლად და ჭირის გასაკაფად, ღარიბ მოწაფეთა, მოხუც-დავრდომილთა, ქვრივ-ობოლთა და ვაჭირვებულთა ხელშესაწყობად". _ ვკითხულობთ ალექსანდრე სიგუას მცირე ზომის წიგნში, რომელიც უდიდესი საზოგადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება.

"რა იქნებოდა ჩვენი ქართული გიმნაზია უდავითოდ? რა იქნებოდა "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", ან ქართული თეატრი თუ დრამატული საზოგადოება უიმისოდ? ვინ ჩაუყრიდა მკვიდრ საფუძველს ქართულ მუზეუმს, თუ არა ისევ ჩვენი უხვი, უანგარო დავითი?" _ იუწყებოდა დავით სარაჯიშვილის სახსოვრად გამოცემული კრებული 1911 წელს.

ცნობილი მეცენატისა და საზოგადო მოღვაწის, დავით სარაჯიშვილის, გარდაცვალებამ 1911 წელს ეროვნული გლოვის ხასიათი მიიღო. რაც მთავარია, მის დაკრძალვაზე უბრალო ადამიანები ძალით არ "მიუპატიჟებიათ", პირიქით, ამ უბრალოთა მიერ უბრალოდ ნათქვამი დარჩა ისტორიას სარაჯიშვილის დიდებად, "ქებად მისად კაცობისად".

უინტერესო არ უნდა იყოს, მცირეოდენი შემოკლებით მკითხველს სარაჯიშვილის ქარხნის ერთ-ერთი მუშის, გ. შაჰნაზაროვის გამოსათხოვარი სიტყვა შევთავაზოთ, რათა უკეთ გაეცნოს ქველმოქმედის კეთილ საქმეებს:

"მე, შენი მეორე ქარხნის მუშების დავალებით ვეთხოვები შენს გაცივებულ გვამს. მათვე დამავალეს საქვეყნოდ მადლობა გადაგიხადოთ იმ სამაგალითო განწყობილების გამო, რომელიც შენ შეჰქმენი შენსა და ჩვენს, შენს მუშებს შორის. შენ ყოველთვის თანაგრძნობით ეგებებოდი ჩვენს მოთხოვნილებებს. შენ სხვა მეპატრონეებივით არაადამიანებად არ გვთვლიდი, შენ სიამოვნებით მიიღე ჩვენი წინადადება, როცა მოვითხოვდით ქარხანაში სამუშაო დროდ ცხრა საათის შემოღებას. შენ იმის მეტი არაფერი გითქვამს, რომ თუ ნორმალური დასვენება გინდათ, ეგ ნორმალური არ არის. ამის შემდეგ შენ ტელეფონით მოახდინე განკარგულება, რომ 8 საათის სამუშაო დრო ყოფილიყო შემოღებული. შენ პირველმა დაგვითმე ორი კვირით დასვენება ჯამაგირის შენახვით. აღტაცებით შეხვდი, როცა ჩვენ სამკითხველოს დაარსება მოვითხოვეთ შენ ქარხანაში. ამისათვის ყოველივე ხარჯები სიამოვნებით ივისრე..."

"დავით სარაჯიშვილი არაჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში - კაცი უაღრესად ნიჭიერი და გამჭრიახი, კარგად მომზადებული და შორსმჭვრეტელი, იგი იყო თავისი დროის ქართველ მოღვაწეთა უნარჩევესთაგანი, რომელმაც დაუღალავი შრომითა და ჯაფით დიდი მრეწველის სახელი გაითქვა, საკმაო ქონება შეიძინა და ეს ქონება გონივრულად გამოიყენა. მას მხურვალედ უყვარდა მშობლიური ქართველი ერი და ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩვენი ქვეყანა დაწინაურებულიყო და ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში უცხოელ დამპყრობთაგან მიღებული წყლულები მოეშუშებია". _ ასე შეაფასა ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ დავით სარაჯიშვილი და მისი მრავალმხრივი საქველმოქმედო საქმიანობა.

170 წელი სრულდება დავით სარაჯიშვილის დაბადებიდან (1848-1911 წ.წ.).

ლევან გაბეჩავა

მურმან მასწავლებლის მოსწავლე ვიყავი...

სიამაყით ამბობენ ამ სიტყვებს სამტრედიელები, დიახ, ეამაყებათ უებრო პედაგოგი, უკვე მარადისობაში გადასული...

საოცრად ცხელოდა 17 ივნისს საქართველოში, სამტრედიაში. ღვაწლმოსილ მსახიობს, ქალბატონ მზია ჩიხლაძეს ეთხოვებოდნენ სამტრედიელები. კულტურის ცენტრში ესვენა ამაგდარი ქალბატონი. იმავ დღეს თბილისში თბილისელებთან ერთად სამტრედიელთა მეორე ნაწილი ბატონ მურმან კაშიას ეთხოვებოდა, ჩინებულ პედაგოგს, ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს.

ცოტაა თქვა ბატონ მურმანზე, კარგი პედაგოგი იყო. იგი არასოდეს იფარგლებოდა ოდენ პედაგოგისათვის აუცილებელი ჩარჩოებით და ეძიებდა სიახლეებს, ნერგავდა მოღვაწეობაში და...

და შედეგიც არ აყოვნებდა, კარგი, თვალსაჩინო შედეგი.

ბატონმა მურმანმა, წლების წინ, ბატონ რევაზ მუქერიასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სამტრედიაში როინ ნადირაძის სახელობის ნორჩ მათემატიკოსთა რაიონული კონკურსის ჩატარებას, რაც უდიდესი მოტივაცია იყო მათემატიკით დაინტერესებული ნორჩებისათვის. ორჯერ ჰქონდა ბატონ მურმანს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება მინიჭებული. იყო ეროვნული გამოცდების მათემატიკის კომისიის წევრი.

საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი 2011 წელს ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

ტრაფარეტული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბატონი მურმანისათვის ყველა ჯილდოზე აღმატებული იყო ის სიყვარული და პატივისცემა, სიცოცხლეშივე რომ იყო გარემოსილი მოსწავლეების, ყოფილი მოსწავლეებისა და კოლეგებისაგან, საზოგადოებისაგან.

მრავლად არიან სამტრედიაში უკვე სიჭარმაგეში შესული ადამიანები, ბატონი მურმანის ყოფილი მოსწავლეები, რომლებსაც ახსოვთ და არასოდეს დაივიწყებენ განუმეორებელი პედაგოგის გარჯას, მასთან ურთიერთობას.

ღირსეული სამტრედიელის, კაშიათა გვარის ბრწყინვალე წარმომადგენლის, ბატონი მურმან კაშიას სახელი მარად იცოცხლებს ნაცნობთა მეხსიერებაში.

ლევან გაბეჩავა

ქართველი მარშალი

პატარა საქართველომ არა მარტო ქართველ ერს, მსოფლიოს მრავალი სახელოვანი ადამიანი მისცა, რომელთა ღვაწლს არ დაივიწყებს, ვერ დაივიწყებს კაცობრიობა.

ლეჩხუმის (ახლანდელი ცაგერის) მაზრაში დაბადებული არჩილ ვიქტორის ძე გელოვანი ერთ-ერთია იმათგან, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ფაშისტური ურჩხულის განადგურების საქმეში.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საბჭოთა კავშირის საინჟინრო ჯარების მარშალი არჩილ გელოვანი სამამულო ომისა და ომისშემდგომ აღდგენით პერიოდში, შესაბამის უწყებებთან ერთად, უდიდეს სამუშაოს ასრულებდა სტრატეგიული ობიექტებისა და სამხედრო-საინჟინრო ნაგებობების სრულყოფისათვის, რაც აუცილებელი იყო ჯარების დაბინავებისა და რიგი სხვა საკითხების გადაჭრისათვის.

მარშალი გელოვანი მოუცლელობის მიუხედავად არცთუ იშვიათად სტუმრობდა საქართველოს, მშობლიურ ლეჩხუმს, ინტერესდებოდა საქართველოს მშრომელთა ბედით და ახარებდა მათი წარმატებები.

1978 წლის 19 აგვისტოს (40 წლის წინ), შეწყდა სპათაგორაში დაბადებული ბალღის, მოსკოვში მარშლობამდე ამაღლებული მამულიშვილის - არჩილ გელოვანის მადლიანი, ნათელი სიცოცხლე.

მიდის დრო, წუთისოფელი ისე იწურება, როგორც სპათაგორული წყაროს წყლით სავსე ჭურჭელი, მაგრამ სასიქადულო მამულიშვილებს დავიწყება არ უწერიათ.

ახალგაზრდობამ, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ იმ ადამიანების ღვაწლის შესახებ, ყველაფერი რომ გააკეთეს სამშობლოს კეთილდღეობისათვის. უნდა იცოდნენ ქართველი მარშლის, არჩილ გელოვანის შესახებაც, ამ კაცმა ხომ გაცილებით ბევრი შეძლო, ვიდრე ერთ ჩვეულებრივ მოკვდავს შეეძლო.

ლევან გაბეჩავა

რა იყო გამომთვლელი მანქანის შექმნის უმთავრესი მიზეზი?

1639 წლის დამლევს გენიალური ფრანგი მათემატიკოსის, მექანიკოსისა და ფიზიკოსის, ბლეზ პასკალის (1623-1662 წლები), მამა ეტიენ პასკალი (1588-1651 წლები), კარდინალ რიშელიეს ბრძანებით, დაინიშნა რუანის ინტენდანტად, რის შემდგომაც პასკალების ოჯახი რუანში გადასახლდა. ადგილზე ჩასული ეტიენი უმალვე შეუდგა თავისი ერთობ რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას. განსაკუთრებით მძიმე და შრომატევადი გახლდათ ათასგვარი ხარჯთაღრიცხვა და ანგარიშწარმოება. იმდროინდელ წერილებში ეტიენი გამუდმებით უჩიოდა მოუცლელობას, უძილობასა და გადაღლილობას. ბლეზს თავდავიწყებით უყვარდა მამა და მისი ქანცგამწყვეტი შრომის შესამსუბუქებლად გადაწყვიტა, შეექმნა გამომთვლელი მანქანა. მისი პირველადი იდეა მარტივი იყო. ხანგრძლივი ფიქრისა და თეორიული გამოთვლების შედეგად 16 წლის ჭაბუკის სულში თანდათანობით გამოიკვეთა თავისი სისხარტითა და სიადავით გასაოცარი აზრი. თურმე შესაძლებელი ყოფილა არითმეტიკულ მოქმედებათა "კინეტიკური რედუქცია", მათი დაყვანა რიტმულად მოწესრიგებულსა და რეგულირებულ მოძრაობამდე. მაგრამ ერთი შეხედვით ამ მარტივი იდეის პრაქტიკულმა ხორცშესხმამ მოითხოვა პასკალის მთელი შემოქმედებითი ენერგია, სულიერი ძალების ზღვრული დაძაბვა, გეომეტრიის, ფიზიკისა თუ მექანიკის დარგში მის მიერ შეძენილი მთელი ცოდნა, მთელი მისი ერუდიცია. მხოლოდ ჯიუტ მოთმინებას, მხოლოდ უტეხ სიკერპეს ძალუძდა, დაეძლია მუშაობის პროცესში ერთიმეორის მიყოლებით წამოჭრილი თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის ყველა სიძნელე. 1642 წელს ბლეზს უკვე მზად ჰქონდა თავისი არითმეტიკული მანქანის პირველი მოქმედი მოდელი, რომელსაც შემდგომ წლების მანძილზე თანდათან ხვეწდა და სრულყოფდა.



პასკალის მიერ შექმნილი გამომთვლელი მანქანა სუმატორული იყო, ანუ იგი ახორციელებდა შეკრება-გამოკლებას. გამომგონებლის ყველაზე არსებით მიღწევად უნდა ჩაითვალოს "ათეულების გადატანის" ავტომატიზაცია - როცა წინა თანრიგში ათი ერთეული გროვდება, ნული ცვლის, ხოლო მომდევნო თანრიგის ციფრს ავტომატურად ემატება ერთიანი. ეს პროცესი ერთგვარი "საყელურის" ბერკეტის მსგავსი მოწყობილობის მეშვეობით ხორციელდებოდა.

პასკალმა დაამზადა გამომთვლელი მანქანის ორმოცდაათზე მეტი სხვადასხვა მოდელი, ზოგი სწორი ღერძებითა და ფირფიტებით, ზოგი კონცენტრული მრუდე ღეროებითა და ჯაჭვური გადაცემებით, ზოგი კონცენტრული კბილანა ბორბლებით, ზოგიც კიდევ ექსცენტრიკებით; სწორხაზოვნად თუ წრიულად მოძრავნი, კონუსისა თუ მოძრაობის მიხედვით სრულიად განსხვავებულნი.

მოგვიანებით ბლეზ პასკალი წერდა: "მე მეყო მოთმინება, დამემზადებინა ორმოცდაათი სხვადასხვა მოდელი: ზოგი ხისა, ზოგი სპილოს ძვლისა, ზოგიც აბანოზისა თუ სპილენძისაგან, სანამ არ შევქმენი მანქანა, რომელსაც ამჟამად გთავაზობთ და რომელიც, წვრილი დეტალების მთელი სიმრავლის მიუხედავად, იმდენად მტკიცეა, რომ ვერავითარი ჯაყჯაყი ნებისმიერ მანძილზე გადატანისას არათუ ვერ მოშლის, იოტისოდენადაც ვერ დაზიანებს მას".

შესაბამისად, უმთავრესი მიზეზი გამომთვლელი მანქანის შექმნისა გახლდათ ბლეზ პასკალის მამის - ეტიენ პასკალის, ჯოჯოხეთური შრომის შემსუბუქება.

genia.ge

ცხენოსნობის ტურნირმა გამარჯვებულები წელსაც გამოავლინა

სამტრედიის მუნიციპალიტეტი სამი დღის განმავლობაში მასპინძლობდა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში გამართულ ტურნირს. 26 აგვისტოდან 28 აგვისტოს ჩათვლით სოფელ ილორში იპოდრომის ტერიტორიაზე ტრადიციული შეჯიბრი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა საქართველოში არსებული 6 საცხენოსნო კლუბი. მათ შორის იყვნენ ხონის, ჭალადიდის, სენაკის, ოზურგეთის, აბაშის, ეწრის და სამტრედიის საცხენოსნო გუნდები.

პირველმა დღემ ისინდსა და ცხენბურთში ნახევარფინალისტები გამოავლინა. იმავე დღეს ჩატარდა დღი 1200 მეტრზე ქართული სისხლის ცხენებში, I ადგილი დაიკავა ვარდენ კიკაჩეიშვილმა. როგორც შერეული სისხლის, ასევე სუფთა სისხლის ცხენებით 2400 და 3000 მეტრზე რბოლაში გამარჯვება კვლავ სამტრედიელ მხედარს, ვარდენ კიკაჩეიშვილს ხვდა წილად.

27 აგვისტოს ნახევარფინალი ჩატარდა, სადაც ფინალისტები: ხონი, ოზურგეთი და სამტრედია გამოიკვეთა.

28 აგვისტოს გამართულ ფინალში ცხენბურთში გამარჯვება მოიპოვა ოზურგეთის, ხოლო ისინდში I ადგილი დაიკავა ხონის გუნდმა. გუნდური პირველობა არავის დაუთმო სამტრედიის გუნდმა.

ეროვნულ სახეობებში გამართულ ტურნირს ორგანიზებას უწევდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის სამსახური. შეჯიბრს ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში სისტემატურად ესწრებოდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, დარგის კურატორი დავით ბახტაძე, სპორტის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, მონაწილე მუნიციპალიტეტების მერები და მოადგილეები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარების საქმეში გაწეული დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა იპოდრომის დირექტორმა პავლე კაპანაძემ.

28 აგვისტოს ტურნირის დასასრულს დაჯილდოება გაიმართა, სადაც გამარჯვებულებს ფულადი პრიზები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ნინო ანიტაშვილი

პირველი ქმრის გვარს ვატარებ,
მე – კანცლერი მერკელი,
“ნატოში” თქვენს შეყვანაზე
ვერაფერიც ვერ ვქენი!

რუსუდან მუქერიას!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს!

უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს, ჩვენო რუსიკო, შენ და შენს ოჯახს!

“სამტრედიის მაცნე”

სასწრაფოდ იყიდება

ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, ორი ბინა - ოროთახიანი და ერთოთახიანი.
მობ.: **599 43 90 01.**

სამტრედიაში, ნინოშვილის ქ. №2-ში (ყოფილი სპორტული მაღაზიის მიმდებარედ), 5-სართულიანი კორპუსის მე-4 სართულზე იყიდება 2-ოთახიანი და ქირავდება 1-ოთახიანი ბინები.
ფასი შეთანხმებით.
მობ.: 555 39 56 00.

პომადის ისტორიიდან

ისტორიკოსთა ცნობით, ისეთი სახის მქონე კოსმეტიკური საცხი, როგორიცაა პომადა, პირველად ჯერ კიდევ 5 000 წლის წინათ გამოიყენეს მესოპოტამიაში მცხოვრებმა ხალხებმა. დროთა განმავლობაში იგი მესოპოტამიიდან (ტიგროსისა და ევფრატის სანაპიროებიდან) გავრცელდა ძველ ეგვიპტეში, ეგვიპტიდან კი ძველ საბერძნეთსა და რომში. რიგი ისტორიული წყაროები ირწმუნებიან, რომ ქიმიის “ყრმობის” ასაკში პომადებს ძირითადად კარაქისაგან, ფუტკრის ცვილისაგან, ყურძნის კანისაგან და სხვადასხვა სახეობის მცენარეების ფესვებისაგან ამზადებდნენ, რის გამოც მათი გემო ერთობ ტკბილი, ხოლო სურნელი არომატული ყოფილა. მოგვიანებით, ანუ ქიმიის განვითარებასთან ერთად, პომადის ქიმიური შემადგენლობაც შეიცვალა, თუმცა კი, ერთობ შხამიანი პიგმენტებით. შედეგად, პომადის მომხმარებელი მრავალი მანდილოსანი მოიწამლა. ზოგ შემთხვევაში კი პომადის შხამიანი პიგმენტები ფატალური შედეგების მომტანი აღმოჩნდა. სწორედ ამ მიზეზით მოუწოდებდა მანდილოსნებს II-III საუკუნეებში მოღვაწე ბერძნული წარმოშობის მქონე დიდი ძველი რომაელი ექიმი კლავდიუს გალენოსი, მაქსიმალურად შეეკავებინათ პომადის მოხმარებისაგან თავი. ის კი არა და, ძველ რომში პომადის წინააღმდეგ ნამდვილი ნადირობა იქნა გაჩაღებული. მიუხედავად ამისა, რომაელი ქალები არად დაგიდევდნენ არც გალენის რჩევას და არც პომადის წინააღმდეგ მიმართულ სახელმწიფო პოლიტიკას. ისინი მზად იყვნენ, სილამაზისათვის თავი გაეწირათ. აღნიშნულ კოსმეტიკურ საცხს შუა საუკუნეებში ბრძოლა გამოუცხადა კათოლიკურმა ეკლესიამაც. იმ მანდილოსნებს, რომლებიც პომადას მოიხმარდნენ, კათოლიკური ეკლესია მკრეხელობაში ადანაშაულებდა.

ქიმიის განვითარებასთან ერთად შეიცვალა პომადის შემადგენლობაც. თუ ადრეულ ეპოქებში იგი შხამიანი პიგმენტებისაგან მზადდებოდა, დღეისათვის აბსოლუტურად უსაფრთხო პიგმენტებისაგან შედგება. ცნობილია, რომ პომადას, იმისთვის, რომ ტუჩები არ გაეყინოთ, გამოიყენებენ როგორც ალპინისტი ქალები, ასევე ალპინისტი მამაკაცებიც.

genia.ge

რატომ უწოდა ქართველმა ხალხმა ლამაზ ქალს “მზეთუნახავი”?

უძველეს ეპოქებში ქართველ ხალხში სილამაზის ქალღმერთს, ასტრალურ ღვთაებას, რომელიც ძველი ბერძნული აფროდიტესა და ძველი რომაული ვენერას ანალოგი იყო და მათსავით უკიდეგანო მშვენიერებით გამოირჩეოდა, ეთერი ერქვა.



როგორც ცნობილია, ქართველთა მიერ “მწუხრის ვარსკვლავად” წოდებული ულამაზესი ვარსკვლავი ვენერა დღე-ღამეში ცის კაბადონზე ორჯერ ჩნდება. ერთხელ მზის ჩასვლის შემდეგ და მეორედ გათენების ხანს, მზის ამოსვლის წინ. ესე იგი, ის დილითაც მზის უნახავადვე ჩადის და მას ჩვენ “დილის ცისკარს” ვუწოდებთ. ეს ტურფა ვარსკვლავი მზეს ვერასოდეს ხედავს. თავის მხრივ კი ქართველმა ხალხმა ლამაზ ქალსა და უმშვენიერეს (მზეთუნახავ) ვარსკვლავ ვენერას შორის პარალელი გააკეთა და შედეგად ლამაზ ქალსაც “მზეთუნახავი” უწოდა.

genia.ge

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა